

ხანდაზმულაბზე ზრუნვა საქართველოში: ზრუნველთა პერსპექტივა

ანი გოგბერაშვილი



ხანდაზმულთა ზრუნვა საქართველოში: ზრუნველთა პერსპექტივა

ანი გოგბერაშვილი

კვლევა მომზადდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის მხარდაჭერით.

ილუსტრაცია გარეკანზე: შაჰნაზ ალაევა

 **HEINRICH BÖLL STIFTUNG**
თბილისი
სამხრეთ კავკასია

თბილისი 2023

შინაარსი

| | |
|--|-----------|
| შესავალი | 2 |
| ძირითადი მიგნებები | 3 |
| 1. თეორიული ჩარჩო | 5 |
| 1.1. ფემინისტური პოლიტიკური ეკონომიკა | 5 |
| 1.2. ზრუნვის ეთიკა | 6 |
| 1.3. ემოციური შრომა | 7 |
| 1.4. ინტერსექციურობა | 8 |
| 2. კვლევის მეთოდოლოგია | 10 |
| 3. კონტექსტის მიმოხილვა: ხანდაზმულებზე ზრუნვის სისტემა | 13 |
| 3.1. სამართლებრივი ჩარჩო | 13 |
| 3.2. სახელმწიფო პანსიონატები | 14 |
| 3.3. სათემო ორგანიზაციები | 14 |
| 3.4. შინმოვლის სერვისი | 16 |
| 3.5. კერძო დაწესებულებები | 17 |
| 3.6. არაფორმალური ზრუნვის შრომა | 18 |
| 3.7. აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომა | 19 |
| 4. ხანდაზმულებზე მზრუნველთა წინაშე არსებული გამოწვევები | 20 |
| 4.1. მზრუნველთა სამუშაო პირობები | 20 |
| 4.2. ემოციური შრომა | 22 |
| 4.3. ხანდაზმულებზე ზრუნვის შრომის გენდერული ასპექტები | 25 |
| 5. ხანდაზმულთა მდგომარეობა მზრუნველთა გადმოსახედიდან | 26 |
| რეკომენდაციები | 28 |
| გამოყენებული წყაროები | 29 |

შესავალი

საქართველოს მოსახლეობაში ხანდაზმულთა წილი ყოველწლიურად იზრდება, 2022 წლისთვის კი 65 წლისა და უფროსი ასაკის ადამიანების წილი მოსახლეობის 15.5%-ს შეადგენდა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022). სამაგიდო კვლევისა და საველე სამუშაოების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი ჩარჩო და ხანდაზმულთა მხარდამჭერი მექანიზმების მასშტაბები ვერ უზრუნველყოფს ხანდაზმულთა კეთილდღეობას. შესაბამისად, ზრუნვის გამცემ პირებს სისტემაში არსებული ხარვეზების კომპენსირება და არსებული დეფიციტების შევსება მეტი პასუხისმგებლობის აღების გზით უწევთ. აქ გასათვალისწინებელია, რომ ზრუნვის შრომის არაპროპორციული წილი ქალებზე მოდის და ამ გამოწვევებს მკვეთრად გამოხატული გენდერული განზომილება აქვს (UN Women, 2020). ქალ მზრუნველებს უწევთ შრომა საკუთარი დროის, ფიზიკური, ემოციური თუ ეკონომიკური რესურსების ამოწურვამდე. მსგავსი ტიპის შრომას აქვს ეკონომიკური, სოციალური და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ისეთი უარყოფითი შედეგები, როგორცაა დაბალი ანაზღაურება, ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი, სოციალური ცხოვრებისა და დასვენების დროის არარსებობა. ზრუნვის სისტემის გამართვაზე მუშაობისას ამ ტიპის შრომის გენდერული ასპექტების გათვალისწინება უმნიშვნელოვანესია როგორც ზრუნვის გამცემთა, ისე ზრუნვის მიმღებთა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ხანდაზმულებზე ზრუნვა ფემინისტური საკითხია და დაკავშირებულია შრომის გენდერულ განაწილებასა და საზოგადოებაში არსებულ ძალაუფლებრივ დინამიკასთან, რაც ამ ტიპის შრომის გაუფასურებას იწვევს.

საქართველოში ხანდაზმულებზე ზრუნვასთან დაკავშირებული კვლევები ფარავს ხანდაზმული მოსახლეობის შესახებ საკითხებს, როგორცაა ხანდაზმულთა წვდომა ჯანდაცვასა და სოციალური უსაფრთხოების სერვისებზე (სუმბაძე, 2020), ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობა (საქართველოს სახალხო დამცველი, 2020; პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, 2019), კოვიდ-19-ის გავლენა ხანდაზმულ მოსახლეობაზე (UNFPA, 2020), ხანდაზმული ადამიანების მარტოობა და სოციალური იზოლაცია (კაჭკაჭიშვილი & პაპიაშვილი, 2021). წინამდებარე კვლევა კი, ზემოხსენებული მონაცემების გათვალისწინებით, ცდილობს ზრუნვის სისტემაში არსებული პრობლემების განსხვავებული პერსპექტივიდან დანახვას და ეყრდნობა უშუალოდ ზრუნვის გამცემი პირების გამოცდილებებს. შესაბამისად, კვლევის მიზანია ხანდაზმულებზე ზრუნვასთან დაკავშირებული გამოწვევების და მათი გენდერული დინამიკის შესწავლა, ძირითადი ფოკუსით ზრუნვის გამცემთა პერსპექტივაზე. კვლევის ამოცანაა ხანდაზმულებზე ზრუნვის მრავალფეროვანი გამოცდილებების შესწავლა როგორც კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებული, ისე არაფორმალურ ზრუნვაში ჩართული ადამიანების გამოცდილების საფუძველზე. უფრო კონკრეტულად – ხანდაზმულებზე ზრუნვასთან დაკავშირებული მთავარი ფსიქოსოციალური, ეკონომიკური, ინფასტრუქტურული გამოწვევების იდენტიფიცირება და ანალიზი. ამასთან, კვლევა ყურადღებას ამახვილებს ხანდაზმულებზე ზრუნვის სფეროში ზრუნვის გამცემ და მიმღებ პირებს შორის არსებული დამოკიდებულებებისა და ურთიერთობების სპეციფიკასა და მნიშვნელობაზე მზრუნველთა პერსპექტივიდან.

ძირითადი მიზნობები

საქართველოში არსებული ხანდაზმულებზე ზრუნვის სისტემის შესწავლისას ვხედავთ იმ რთულ მოცემულობას, რასაც სახელმწიფო პანსიონატების, სათემო ორგანიზაციების, სხვა არასამთავრობო და საქველმოქმედო ორგანიზაციების, კერძო დაწესებულებების, შინმოვლის სერვისების, არაფორმალური მზრუნველებისა და ოჯახის წევრებზე მზრუნველი ქალების მიერ გაწეული შრომის თანაარსებობა ქმნის. სახელმწიფოს დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკიდან გამომდინარე, პანსიონატები ნელ-ნელა კარგავენ რელევანტურობას, ხოლო სათემო ორგანიზაციებს რესურსების სიმწირის გამო სათანადო ხარისხის ზრუნვის მომსახურების გაცემა უჭირთ. წინსვლაა შინმოვლის მიმართულებით, რაც სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მრავალწლიანი ადვოკატირების და მუშაობის შედეგია. კერძო დაწესებულებების მუშაობა სრულიად დაურეგულირებელია, რაც პრობლემურია როგორც ბენეფიციარებისთვის, ისე იქ დასაქმებული ადამიანებისთვის. ზრუნვის სისტემაში არსებულ დეფიციტს ავსებენ არაფორმალურად დასაქმებული და ოჯახის წევრებზე ანაზღაურების გარეშე მზრუნველი ქალები, რომელთა მდგომარეობაც ასევე პრეკარიულია. ამ სირთულეების საპასუხოდ აუცილებელია უშუალოდ ზრუნვის გამცემი პირების პერსპექტივით ინფორმირებული სისტემური და კოორდინირებული მუშაობა.

ხანდაზმულებზე ზრუნვის სფეროში ფორმალურად და არაფორმალურად დასაქმებული პირების მიერ გაზიარებული გამოცდილებები ხაზს უსვამს **ხანდაზმულებზე ზრუნვის სფეროში არსებულ მიიმე და არასტაბილურ სამუშაო პირობებს**, რაც ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის რისკებთანაა დაკავშირებული. ზრუნვის პროფესია, სადაც ქალები არაპროპორციულად არიან წარმოდგენილი, ასოცირდება დაუფასებელ შრომასა და ცხოვრების დაბალ ხარისხთან.

კვლევის მიგნებები ხაზს უსვამს **ხანდაზმულებზე ზრუნვის სფეროში ემოციური შრომის როლს**, რაც ხშირად ფიზიკური შრომის წინაპირობაა. ბენეფიციარებთან ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობა ზრუნვის შრომაში ჩართული ადამიანების მხრიდან საკუთარი ემოციების მუდმივ რეგულაციას მოითხოვს, რაც საკმაოდ შრომატევადი პროცესია. კვლევის მონაწილეთა მრავალფეროვანი გამოცდილებები ზრუნვას, სიყვარულსა და ემოციებს შორის არსებულ კომპლექსურ კავშირებს უსვამს ხაზს. კვლევა ასევე აქცენტს აკეთებს მზრუნველებისთვის მენტალური ჯანმრთელობის მხარდაჭერის სერვისების განსაკუთრებულ აუცილებლობაზე, რასაც მათი სამუშაოს სპეციფიკა და სიკვდილთან მუდმივი შეხება განაპირობებს.

ზრუნვის სისტემაში არსებული ხარვეზების კომპენსირება ძალიან ხშირად ქალებს უწევთ არაანაზღაურებადი შრომის გზით. ქალები დომინირებენ ანაზღაურებად ზრუნვაშიც, სადაც კაცები ძირითადად მხოლოდ ადმინისტრაციულ როლებს იკავებენ. კულტურული წარმოდგენები, რომლებიც ზრუნვის პასუხისმგებლობას ქალის როლთან აიგივებს, ხელს უწყობს კაცების არასაკმარის წარმოდგენას ხანდაზმულებზე ზრუნვის სფეროში.

მზრუნველთა პერსპექტივიდან, **ხანდაზმული ადამიანების მოწყვლადობის ფონზე, სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმები არაადეკვატური და არასაკმარისია**. ხანდაზმულთა სიღარიბე და ზრუნვის დაწესებულებებში არსებული გამოწვევები ხაზს უსვამს ზრუნვის სისტემის ნაკლოვანებებს. ამასთან, სახელმწიფო ხანდაზმულებს არ აღიქვამს ფუნქციურ ადამიანებად, რაც იგრძნობა სახელმწიფო პოლიტიკაში. ამ და სხვა მიზეზების გამო, ხანდაზმულებს აქვთ დაბალი მოტივაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად არ მონაწილეობენ.

საქართველოში ხანდაზმულებთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტები და სოციალური დაცვის მექანიზმები მიუთითებს კომპლექსურ ურთიერთმიმართებაზე პოლიტიკის მიზნების, რესურსების განაწილებისა და ხანდაზმულების და მათზე მზრუნველი პირების კეთილდღეობას შორის. მიუხედავად საწყისი ნაბიჯების გადადგმისა, რაც მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის დამტკიცებას და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებას გულისხმობდა, დოკუმენტით გაწერილი ვალდებულებები სათანადოდ არ შესრულებულა და ახალი სამოქმედო გეგმა არ შექმნილა. ფულადი და არაფულადი დახმარება არ არის საკმარისი ხანდაზმულთა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და მათთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად. ზრუნვის შრომის გენდერული ასპექტებიდან გამომდინარე, ამ დეფიციტის შევსება მზრუნველებს, დიდწილად ქალებს, უწევთ როგორც ანაზღაურებადი, ისე აუნაზღაურებელი შრომით. ყოვლისმომცველი და გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკა გააუმჯობესებდა ზრუნვის ხარისხს და დადებით გავლენას.

1. თეორიული ჩარჩო

წინამდებარე კვლევის თეორიული ჩარჩო განსხვავებული და, ამავდროულად, ურთიერთდაკავშირებული თეორიული პერსპექტივების ინტეგრირების გზით ცდილობს, შექმნას საფუძველი ზრუნვის გამოცდილებების შესასწავლად. იგი საშუალებას იძლევა, შევისწავლოთ არა მხოლოდ ზრუნვის ხილული მხარე, არამედ ის სოციო-ეკონომიკური, კულტურული, ფსიქოლოგიური ფაქტორები, რაც რეალურად ქმნის ზრუნვის გამოცდილებას. ფემინისტურ პოლიტიკურ ეკონომიკასთან, ზრუნვის ეთიკასა და ემოციურ შრომასთან დაკავშირებული თეორიები საშუალებას იძლევა, შევქმნათ ზრუნვის გამოცდილების უფრო ნიუანსირებული ხედვა. სწორედ ამიტომ, კვლევაში ზრუნვა განიხილება არა როგორც იზოლირებული აქტი, არამედ ქვეყანაში არსებული სოციალური სტრუქტურების, გენდერული ნორმების, ეკონომიკური უთანასწორობებისა და კულტურული ღირებულებების კონტექსტში.

1.1. ფემინისტური პოლიტიკური ეკონომიკა

ფემინისტური პოლიტიკური ეკონომიკის [Feminist Political Economy] თეორია შეისწავლის გენდერს, ეკონომიკასა და პოლიტიკურ სტრუქტურებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას და მათ გავლენას სოციალურ პროცესებზე. პოლიტიკური ეკონომიკის კლასიკური მიდგომის მთავარი ფოკუსი ბაზრების ფუნქციონირება, წარმოება, ვაჭრობა და რესურსების განაწილებაა გენდერულად ბრმა პერსპექტივიდან, როდესაც რეალურად გენდერს ცენტრალური მნიშვნელობა აქვს რესურსების, ძალაუფლებისა და შესაძლებლობების განაწილების პროცესებში (Peterson, 2005). პოლიტიკური ეკონომიკის კლასიკური მიდგომა ქმნის უნივერსალური შრომის ბაზრის ილუზიას, სადაც ინდივიდებს თანაბარი წვდომა აქვთ დასაქმების შესაძლებლობებსა და ანაზღაურებაზე. ის არ ცნობს გენდერულ სეგრეგაციას, სახელფასო სხვაობასა და დისკრიმინაციის სხვა ფორმებს, რასაც ქალები, განსაკუთრებით კი ზრუნვის შრომაში ჩართული ქალები განიცდიან. მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური თეორიები მნიშვნელოვანია ეკონომიკური სისტემებისა და ბაზრის ფუნქციონირების შესწავლისთვის, გენდერული სიბრმავე/არასენსიტიურობა ქმნის მნიშვნელოვან უთანასწორობებს (Elson, 1993). ფემინისტური პოლიტიკური ეკონომიკის თეორია სწორედ ამ გამოწვევების საპასუხოდ შეიქმნა და კლასიკურ თეორიებში გენდერული ანალიზის ინტეგრირების გზით ცდილობს ეკონომიკური სისტემების გენდერული განზომილების წინ წამოწევას. ფემინისტური პოლიტიკური ეკონომიკა, როგორც ინსტრუმენტი, სრული სურათის დანახვის საშუალებას იძლევა, რადგან ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორცაა ჯანდაცვის პოლიტიკა, შრომითი უფლებები, აუნაზღაურებელი შრომის განაწილება, ეკონომიკურ რესურსებზე წვდომა, სახელფასო სხვაობა და სხვა (WILPF, 2018). ამასთან, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების ფემინისტური გადმოსახედიდან შესწავლა გულისხმობს არა მხოლოდ გენდერის, არამედ ძალაუფლების სხვა სისტემების ურთიერთმიმართებისა და გავლენების ინტერსექციურ ანალიზს.

ფემინისტური პოლიტიკური ეკონომიკა სწავლობს პატრიარქატის კონტროლს ქალების შრომაზე როგორც სახლში, ისე სამუშაო ბაზარზე. თეორიის თანახმად, ეკონომიკა შედგება სხვადასხვა ურთიერთდამოკიდებული სისტემისა და აქტორისგან, რომელთა გამოცდილებასაც განაპირობებს ისტორია, კულტურა და სხვადასხვა ინსტიტუტი. ადამიანები არსებობენ არა მხოლოდ გადარჩენისთვის და ბაზარზე გასაყიდი პროდუქტისა და სერვისის შესაქმნელად, არამედ სხვადასხვა ემოციისა და გამოცდილებისთვის, სხვა ადამიანებთან ღირებული კავშირების დასამყარებლად. ის ეწინააღმდეგება გავრცე-

ლებულ ეკონომიკურ თეორიებს, რომლებიც ღირებულად მხოლოდ ანაზღაურებად შრომას განიხილავენ და ადამიანის ცხოვრების სხვა ასპექტებს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ (Cohen & Hartmann, 2022). ის შეისწავლის გენდერულ ძალაუფლებრივ დინამიკას ეკონომიკურ სისტემებსა და პოლიტიკურ ინსტიტუტებში, რაც მრავალფეროვან და ხშირად უთანასწორო ინდივიდუალურ გამოცდილებებს ქმნის.

ფემინისტური პოლიტიკური ეკონომიკის თეორია განსაკუთრებით საინტერესოა ზრუნვის გამცემი ადამიანების გამოცდილებების შესასწავლად რამდენიმე მიზეზის გამო: (1) ეს პერსპექტივა საშუალებას გვაძლევს, ვაღიაროთ, რომ ზრუნვის პროცესი მხოლოდ პირადი საკითხი არაა და გადაჯაჭვულია სხვადასხვა სტრუქტურულ უთანასწორობასთან; (2) ხაზს უსვამს იმ არაპროპორციულ ტვირთს და პასუხისმგებლობებს, რაც სახელმწიფოს ჯანდაცვის, ეკონომიკური, სოციალური პოლიტიკიდან და შრომის გენდერული განაწილებიდან გამომდინარე აკისრიათ ქალებს (Rai & Waylen, 2013); (3) ის ეწინააღმდეგება ნეოლიბერალურ ეკონომიკურ მოდელს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმ ეკონომიკურ საზომებს, რომლებიც აუნაზღაურებელ შრომას ყურადღების მიღმა ტოვებს.

ეს თეორიული პერსპექტივა ხაზს უსვამს გენდერის მნიშვნელობას არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურებისთვის, რაც განაპირობებს ხანდაზმულებზე ზრუნვის პოლიტიკასაც. ფემინისტური პოლიტიკური ეკონომიკის თეორიის გამოყენებით, კვლევა ცდილობს, გამოაშკარაოს ხანდაზმულებზე ზრუნვის სფეროში არსებული ეკონომიკური უთანასწორობები და ძალაუფლების დინამიკა, რომლებიც იწვევს როგორც ზრუნვის გამცემების, ისე ზრუნვის მიმღები პირების მარგინალიზებას. გარდა ამისა, კვლევა შეისწავლის ზრუნვის შრომის გენდერულ დაყოფას და მის დაუფასებლობას, რაც არაპროპორციულ გავლენას ახდენს როგორც ზრუნვის გამცემ, ისე ზრუნვის მიმღებ ქალებზე. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, თუ რა გავლენას ახდენს გენდერისა და სხვა სოციალური იდენტობების თანაკვეთა ზრუნვის ურთიერთობაში მყოფ ორივე მხარეზე.

1.2. ზრუნვის ეთიკა

ფემინისტურ პოლიტიკურ ეკონომიკასთან ერთად, ზრუნვის ეთიკის [Care Ethics] თეორია გვეხმარება ზრუნვის მორალური განზომილებისა და ზრუნვის გამცემსა და მიმღებს შორის არსებული კომპლექსური ურთიერთობის შესწავლაში. ეს თეორია 80-იან წლებში შეიქმნა და ფსიქოლოგ ქეროლ გილიგანის სახელს უკავშირდება. ეთიკის სხვა ტრადიციული თეორიების საპასუხოდ, რომლებიც პირადი კავშირებისა და ემპათიის მნიშვნელობას ნაკლებად ცნობს, ზრუნვის ეთიკა ყურადღებას ამახვილებს ზრუნვაზე, როგორც ადამიანის ცხოვრების განუყოფელ ნაწილზე. ამ თეორიის თანახმად, ზრუნვა არის არა მხოლოდ პრაქტიკული, არამედ მორალური მნიშვნელობის მქონე აქტი, რომელიც ადამიანის იდენტობებისა და სოციალური ღირებულებების განმსაზღვრელია (Held, 2006). ზრუნვის ეთიკა ხაზს უსვამს ადამიანებს შორის არსებულ კავშირებსა და ურთიერთდამოკიდებულებას მაშინ, როდესაც, ტრადიციულად, ფოკუსი ინდივიდუალურ ავტონომიასა და რაციონალურობაზეა. გარდა ამისა, იგი ყურადღებას ამახვილებს არა აბსტრაქტულ მორალურ წესებზე, არამედ კონკრეტულ ურთიერთობებსა და ემოციებზე, რაც უმნიშვნელოვანესია ადამიანების კეთილდღეობისთვის. ზრუნვის ეთიკის თეორია აღიარებს ზრუნვის კონტექსტის მნიშვნელობასაც და ამბობს, რომ ზრუნვის ურთიერთობები შესაძლოა, მრავალფეროვანი იყოს და მხარეები აუცილებლად თანასწორი და თავისუფალი ინდივიდები არ არიან. მეტიც, იგი ხაზს უსვამს ისეთი ზრუნვითი ურთიერთობების ღირებულებას, რომლებიც ძალაუფლების დისბალანსის

ფონზე არსებობს, – მაგალითად, როგორცაა ურთიერთობა მშობელსა და შვილს, ან ხანდაზმულსა და მასზე მზრუნველს შორის (Held, 2006). ზრუნვითი ურთიერთობების ასე დანახვა არსებული სოციალური და პოლიტიკური სისტემების გადააზრების საშუალებას იძლევა და ფილოსოფოს ვირჯინია ჰელდის სიტყვებით, „საზოგადოების რადიკალური ტრანსფორმაციის პოტენციალს ქმნის“ (იქვე, გვ. 12).

ამავდროულად, ზრუნვის ეთიკა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კერძოსა და საჯაროს ტრადიციულ დიქტომიასაც. თუ მორალთან დაკავშირებული დომინანტური თეორიები დამოუკიდებელი და ინდიფერენტული ინდივიდებისგან შემდგარ „საჯარო სფეროზე“ კონცენტრირდება, ზრუნვის ეთიკა ყურადღებას ამახვილებს ადამიანების ურთიერთობაზე ოჯახის, მეგობრობის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის კონტექსტში (Held, 2006). პოლიტიკის მეცნიერ ჯოან ტრონტოს (1998) თქმით, სამყაროს საჯარო და კერძო სფეროებად დაყოფისას, ზრუნვის შრომა კერძო სფეროში ექცევა და საოჯახო საქმეებთან ასოცირდება, რაც პატრიარქალურ საზოგადოებაში მის დაუფასებლობას იწვევს. რეალურად კი, ზრუნვის შრომა მრავალფეროვანია და შეიძლება განსხვავებული ფორმითა და კონტექსტით არსებობდეს სხვადასხვა დაწესებულებაში და ინსტიტუტში ან ბაზარზე, როგორც სერვისი.

თავად ზრუნვის აქტი შედგება როგორც ემოციური და ინტელექტუალური ნაწილისგან, ისე ზრუნვის ფიზიკური გამოხატულებისგან. რეალურ ცხოვრებაში, მენტალურ ასპექტს მოსდევს ფიზიკური ქმედება, თუმცა არსებულ დისკუსიებში, ხშირად, ყურადღება ზედმეტად მახვილდება ამ ორიდან რომელიმე ასპექტზე. მაგალითად, შესაძლოა საუბარი მთლიანად დაეთმოს ზრუნვის ემოციურ მხარეს და ფიზიკური შრომა ყურადღების მიღმა დარჩეს, ან პირიქით (Tronto, 1998). ტრონტო იქვე გამოყოფს ზრუნვის ოთხ ფაზას: პირველი ფაზა [caring about] სხვა ადამიანის საჭიროებების იდენტიფიცირებას და ემოციური კავშირის დამყარებას გულისხმობს, მეორე [caring for] – ინტელექტუალურ ჩართულობას, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებასა და რესურსების მობილიზებას, მესამე ფაზა [caregiving] უშუალოდ ზრუნვის ფიზიკურ აქტს მოიცავს, ხოლო მეოთხე [care receiving] – ზრუნვის მიმღები პირის მხრიდან რეაგირებას, რაც აუცილებელია გაწეული ზრუნვის გავლენის შესაფასებლად. კვლევის ფარგლებში ყურადღება ეთმობა ზრუნვის ოთხივე ფაზას ზრუნვის გამცემი და მიმღები პირების გამოცდილებებიდან. ზრუნვის ეთიკის გამოყენებით, კვლევაში გაანალიზებულია ზრუნვის გამცემი პირების ემოციური გამოცდილებები, ზრუნვასთან დაკავშირებული მორალური ვალდებულებები და ამ ყველაფრის გავლენა როგორც ზრუნვის გამცემ, ისე მიმღებ მხარეებზე.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ხანდაზმულებზე ზრუნვის კონტექსტში, ზრუნვის ეთიკის თეორია საფუძველს ქმნის ზრუნვის შრომის ემოციური ასპექტებისა და ამ ტიპის შრომის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესწავლისთვის. თეორია განსაკუთრებით რელევანტურია ზრუნვის გამცემ და მიმღებ პირებს შორის არსებული კომპლექსური დინამიკის შესწავლისთვის. ამასთან, ხაზს უსვამს ზრუნვის ურთიერთობის უნიკალური კონტექსტის მნიშვნელობასაც და საშუალებას იძლევა დავინახოთ ზრუნვის ეთიკური განზომილებები.

1.3. ემოციური შრომა

ემოციურ შრომასთან [Emotional Labor] დაკავშირებული თეორიები სოციოლოგიაში 80-იან წლებში გაჩნდა და გულისხმობდა მომსახურების სფეროში დასაქმებულ ადამიანების მხრიდან საკუთარი ემოციების მართვასა და სამსახურებრივი მოთხოვნების შესაბამისად გამომხატვას (Hochschild, 2012). ნებისმიერი ტიპის სამუშაო, რომელიც

სხვა ადამიანებთან მუდმივ კონტაქტს გულისხმობს, გარკვეული ხარისხით ემოციურ შრომასაც მოიცავს. ეს განსაკუთრებით რელევანტურია ზრუნვის გამცემი პირებისთვის, რომლებიც სხვადასხვა სექტორში არიან დასაქმებულნი ან აუნაზღაურებელ შრომას ეწევიან. ხანდაზმულებზე ზრუნველებისთვის კი ემოციური შრომა არის ზრუნვის მიმღებებთან კავშირის დამყარებისა და ნდობის მოპოვების, შენარჩუნების გზა. ემოციური შრომა განსაკუთრებულად საჭირო ხდება გარკვეული უსიამოვნო პროცედურების ჩატარების დროს, სერვისის მიმღები პირების უარყოფითი რეაქციების დასაბალანსებლად (Martínez-Iñigo, 2007). ხშირ შემთხვევაში ემოციური შრომა აუცილებელია იმისათვის, რომ ზრუნვის მიმღებმა თავი უსაფრთხოდ და კომფორტულად იგრძნოს (Yeh, 2020). შესაძლოა, თავად მზრუნველი განიცდიდეს ისეთ ემოციებს, როგორცაა სევდა, გაღიზიანება, დაღლა, თუმცა ზრუნვის პასუხისმგებლობების გამო უწევდეს მათი მუდმივი რეგულაცია და ზრუნვის მიმღების ემოციებზე, ხასიათზე მორგება. ემოციების ხშირმა დათრგუნვამ და მართვამ, განსაკუთრებით რთულ სიტუაციებში, შესაძლოა, გამოიწვიოს გადაღლა და ემოციური გადაწვა¹.

თუ ზრუნვის ეთიკა ხაზს უსვამს ზრუნვითი ურთიერთობების მნიშვნელობასა და ორმხრივ ბუნებას, ემოციური შრომის თეორია ყურადღებას ამახვილებს ემოციური შრომის თანმდევ გამოწვევებზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გენდერული დინამიკა და იერარქიები, რასაც ფემინისტური პოლიტიკური ეკონომიკა შეისწავლის, იკვეთება ემოციურ შრომასთან, რადგან საზოგადოებას ქალების მიმართ აქვს მოლოდინი, საკუთარის ნაცვლად სხვა ადამიანების ემოციურ კეთილდღეობაზე იზრუნონ. აუცილებელია ზრუნვის შრომის ამ ასპექტის გათვალისწინება სახელმწიფო პოლიტიკაში, რაც მშრომელებისთვის მენტალური ჯანმრთელობის მხარდაჭერი რესურსების შექმნასაც გულისხმობს. ემოციურ შრომასთან დაკავშირებული პერსპექტივის შემოტანით, კვლევა მიზნად ისახავს ზრუნვის სამუშაოს ყოვლისმომცველი, ნიუანსირებული სურათის შექმნას.

1.4. ინტერსექციურობა

ინტერსექციურობის თეორია 90-იანი წლების დასაწყისში დამკვიდრდა. ტერმინი „ინტერსექციურობა“ პირველად სამართლის პროფესორმა და კრიტიკული რასის თეორეტიკოსმა კიმბერლი ქრენშოუმ გამოიყენა. ეს არის ჩარჩო, რომელიც სხვადასხვა სოციალური იდენტობისა და დისკრიმინაციის ფორმების თანაკვეთისა და ურთიერთ-მიმართებების შესასწავლად გამოიყენება. ინტერსექციურობის თეორიის თანახმად, გენდერზე, რასაზე, კლასზე, შეზღუდულ შესაძლებლობებზე, რელიგიურ, ეთნიკურ კუთვნილებაზე ან სხვა კატეგორიაზე დაფუძნებული უთანასწორობის სისტემები ხშირად იკვეთებიან და ქმნიან ჩაგვრის უნიკალურ გამოცდილებებს (Cranshaw, Cho, & McCall, 2013).

აღნიშნულ კვლევაში ინტერსექციური მიდგომის გამოყენება მკვლევარს საშუალებას აძლევს, შეისწავლოს, თუ როგორ იკვეთება ჩაგვრის სხვადასხვა ფორმა და რა გავლენას ახდენს ეს ყველაფერი ზრუნვის გამცემ და მიმღებ პირებზე. ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება გენდერთან, ასაკთან, სოციო-ეკონომიკურ ფაქტორებსა და შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ გამოწვევებზე და მათ ურთიერთმიმართებაზე კვლევის მონაწილეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებებში. ინდივიდუალურ გამოწვევებთან ერთად, კვლევა შეისწავლის სტრუქტურულ და ინსტიტუციურ ფაქტორებსაც და მათ გავლენებს სხვადასხვა სოციალური იდენტობის

1 მუდმივი სტრესისგან გამოწვეული ფიზიკური, მენტალური და ემოციური გადაღლა, რაც აპათიასა და ემოციურ მოწყვლადობაში გამოიხატება.

მქონე ადამიანებზე (Cho & Crenshaw, 2013). ინტერსექციური პერსპექტივის გამოყენება მკვლევარს ეხმარება ზრუნვის გამცემი პირების მრავალფეროვანი საჭიროებების იდენტიფიცირებაში, რაც მნიშვნელოვანია შესაბამისი პოლიტიკისა და მხარდამჭერი სისტემების შესაქმნელად.

შეჯამება

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული თეორიული პერსპექტივები ქმნის ყოვლისმომცველ ჩარჩოს საქართველოში ხანდაზმულებზე ზრუნვის მრავალგანზომილებიანი საკითხის შესწავლისთვის. თეორიული ჩარჩო საფუძვლად უდევს შეგროვებული მონაცემების ანალიზსა და ინტერპრეტაციის. კერძოდ, მზრუნველთა სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა და საჭიროებები დაკავშირებული იქნება ფემინისტურ პოლიტიკური ეკონომიკის თეორიასთან, ფსიქოსოციალური ასპექტები და ზრუნვის შრომის გავლენა ადამიანთა კეთილდღეობაზე – ზრუნვის ეთიკასთან, ხოლო ინტერსექციური მიდგომა გამოყენებული იქნება კვლევის ყველა ეტაპზე, რაც ხანდაზმულებზე ზრუნვის საკითხის მრავალმხრივი შესწავლის საშუალებას იძლევა.

2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა თვისებრივი მეთოდების გამოყენებით ოთხ ეტაპად ჩატარდა: საწყისი ეტაპი, სამაგიდო კვლევა, საველე სამუშაოები და ანალიზის ეტაპი. საწყის ეტაპზე მკვლევარმა შეიმუშავა კვლევის დიზაინი, დეტალური მეთოდოლოგია და თეორიული ჩარჩო. კვლევის დიზაინის არჩევანი, პირველ რიგში, განპირობებული იყო უშუალოდ ზრუნვის გამცემ პირთა პერსპექტივის შესახებ ღრმა ინტერესით. სიღრმისეული ინტერვიუები ზრუნვის გამცემთა მრავალფეროვანი გამოცდილებების ანალიზის საშუალებას იძლევა, ხოლო ექსპერტული ინტერვიუები ფართო კონტექსტის უკეთ გასააზრებლად ჩატარდა. რაც შეეხება თეორიულ ჩარჩოს, ფემინისტურ პოლიტიკურ ეკონომიკასთან, ზრუნვის ეთიკასა და ემოციურ შრომასთან დაკავშირებული თეორიები შეირჩა ზრუნვის გამოცდილებების შესახებ მრავალმხრივი, ყოვლისმომცველი ხედვის შესაქმნელად.

სამაგიდო კვლევის ფარგლებში მკვლევარმა გააანალიზა უკვე არსებული ნაშრომები (იხ. გამოყენებული წყაროები) და კვლევის პრობლემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები ისეთ საკითხებზე, როგორცაა ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობა, მათი მხარდაჭერი სისტემის შეფასება, მათ წინაშე არსებული სოციალური და ეკონომიკური ბარიერები. აღსანიშნავია, რომ ნაკლებად ხელმისაწვდომია ლიტერატურა უშუალოდ ზრუნვის გამცემთა გამოწვევებსა და საჭიროებებზე. ამავდროულად, მკვლევარმა გამოითხოვა ინფორმაცია სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან შემდეგ საკითხებზე: სათემო ორგანიზაციებისა და პანსიონატების საქმიანობა, ამ დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალისთვის არსებული მხარდაჭერის სერვისები და საგანმანათლებლო რესურსები.

საველე კვლევის ეტაპზე გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ, მონაცემთა შესაგროვებლად ჩატარდა სიღრმისეული და ექსპერტული ინტერვიუები 2023 წლის ივნის-ივლისის განმავლობაში. მკვლევარმა კვლევის მონაწილეების შესარჩევად მიზნობრივი და თოვლის გუნდის შერჩევის მეთოდები გამოიყენა. მიზნობრივი შერჩევის მეთოდი კვლევის მონაწილეების იმ სპეციფიკური მახასიათებლებით შერჩევას გულისხმობს, რომლებიც კვლევის მიზნებს ეფუძნება; ხოლო თოვლის გუნდის მეთოდი გამოყენებით, რესპონდენტთა რეკომენდაციებზე დაყრდნობით, მკვლევარი მეტ რელევანტურ მონაწილეს პოულობს. საველე სამუშაოები შეჯამებულია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1. თვისებრივი კვლევის დიზაინი, ინტერვიუები (31 მაისი – 31 ივლისი, 2023)

| თვისებრივი კვლევის ტექნიკა | სიღრმისეული ინტერვიუ | ინტერვიუ ექსპერტებთან |
|-------------------------------------|---|--|
| სამიზნე ჯგუფი | ფორმალურად და არაფორმალურად მომუშავე ზრუნვის გამცემი ქალები | ჯანდაცვის სამინისტროს, საქართველოს ზრუნვის პლატფორმის ² წარმომადგენლები, მკვლევრები |
| შერჩევის მეთოდი | მიზნობრივი შერჩევა, თოვლის გუნდის მეთოდი | მიზნობრივი შერჩევა |
| რესპონდენტთა რაოდენობა | 10 | 4 |
| ინტერვიუს ხანგრძლივობა (დაახლოებით) | 2 საათი | 1.5 საათი |

2 საქართველოს ზრუნვის პლატფორმა შეიქმნა 2013 წელს და წარმოადგენს შემდეგი სამი კოალიციის გაერთიანებას: ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი, კოალიცია შინმოვლა საქართველოში და საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიცია. პლატფორმის მისიაა საქართველოში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ინტეგრირებული ზრუნვის განვითარების ხელშეწყობა. დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე careplatform.ge.

ზრუნვის გამცემ პირთა მრავალფეროვანი გამოცდილებების შესასწავლად, ჩატარდა 14 პირისპირ და ონლაინ ინტერვიუ სათემო ორგანიზაციების და კერძო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, შინმოვლის სერვისში დასაქმებულებსა და ზრუნვის შრომაში არაფორმალურად ჩართულ ადამიანებთან (ცხრილი 1). ინტერვიუებისთვის მკვლევარმა შეიმუშავა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევი, რომელიც გამოიყენებოდა მცირე ცვლილებებით თითოეულ სამიზნე ჯგუფთან. გზამკვლევი ფარავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა მზრუნველის პირადი გამოცდილება და ზრუნვისასთან დაკავშირებული გამოწვევები, სამუშაო პირობები, ფიზიკური და ემოციური შრომა, ზრუნვის მიმღებ პირებთან/ბენეფიციარებთან ურთიერთობა, მზრუნველების მოტივაცია, ზრუნვის სფეროში არსებული გენდერული დინამიკა და ხანდაზმულთა მდგომარეობა მზრუნველების გადმოსახედიდან, ასევე, ხანდაზმულებზე ზრუნვის სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება/არსებული სერვისების მიმოხილვა. ყველა ინტერვიუს აუდიოჩანაწერი რესპონდენტების თანხმობის საფუძველზე მომზადდა, რის შემდეგაც გაკეთდა ტრანსკრიპტები ან წერილობითი ჩანაწერები.

შემდეგ ეტაპზე მკვლევარმა გააანალიზა მოპოვებული მონაცემები და გააერთიანა სამაგიდო კვლევის მიგნებებთან. ანალიზის პროცესი მიმდინარეობდა სამაგიდო კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული თემატური ჩარჩოს საფუძველზე. ინტერვიუების ანალიზის დროს მკვლევარმა გამოიყენა თემატური ანალიზის მეთოდი, რაც დაეხმარა კვლევის მონაწილეების განსხვავებული ხედვების შესწავლაში, მათ შორის მსგავსებებისა და განსხვავებების დანახვაში. როგორც მონაცემების შეგროვების, ისე ანალიზის ეტაპზე, მკვლევარი ეყრდნობოდა თეორიულ ჩარჩოს, რომელიც განხილულია შესაბამის თავში.

ეთიკური საკითხები

კვლევის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეთიკურ პრინციპებს. კვლევაში მონაწილეობამდე, ყველა რესპონდენტისგან მიღებულ იქნა ინფორმირებული თანხმობა. რესპონდენტებს კვლევის პროცესიდან გამოთიშვა შეეძლოთ ნებისმიერ დროს. კონფიდენციალობა და ანონიმურობა შენარჩუნდა კვლევის მთელი პროცესის განმავლობაში.

მკვლევრის პოზიციონირება

კვლევა ეყრდნობა ფემინისტური პოზიციის ეპისტემოლოგიას [Feminist Standpoint Epistemology], რომელიც კონკრეტულ გამოცდილებებს აქცევს კვლევის პროცესის ცენტრალურ ელემენტად (Harding, 2001). მკვლევრის მიზანია, შეისწავლოს რესპონდენტთა აქამდე უცნობი გამოცდილებები და შექმნას ცოდნა, რომელმაც შესაძლოა სოციალურ ცვლილებებს და შემდგომ კვლევებს მისცეს ბიძგი. კვლევის პროცესში მკვლევარი აქტიურად იყენებდა თვითრეფლექსიის მეთოდს და აფასებდა, თუ რა გავლენას ახდენს მკვლევრის პოზიცია იმ ცოდნაზე, რასაც აწარმოებს.

კვლევის შეზღუდვები

კვლევა ჩატარდა თბილისის მასშტაბით. შეზღუდული რესურსებიდან და დროიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა ზრუნვისასთან დაკავშირებული გამოცდილებების მეტად ფართო სპექტრის მოცვა, რაც გულისხმობს სხვადასხვა რეგიონის სპეციფიკურ კონტექსტს, სხვადასხვა სოციო-ეკონომიკური სტატუსისა და კულტურული ფაქტორების გათვალისწინებას. მნიშვნელოვანია სამომავლო კვლევებში ამ ფაქტორების გათვალისწინება ხანდაზმულებზე ზრუნვის პოლიტიკის შესახებ უფრო

ფართო სურათის შესაქმნელად. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ზრუნვის მიმღები პირების პერსპექტივის შესწავლაც.

საველე სამუშაოების დაგეგმვა/მიმდინარეობის დროს მნიშვნელოვანი ბარიერი იყო დროითი სიღარიბე რესპონდენტების ცხოვრებაში. კვლევის თავდაპირველ დიზაინში, გათვალისწინებული იყო ფოკუსჯგუფის ტექნიკის გამოყენება, თუმცა რესპონდენტების გრძელი და არასტაბილური სამუშაო საათებიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა ყველა მათგანისთვის ოპტიმალური დროის შერჩევა. შესაბამისად, ფოკუსჯგუფები ჩანაცვლდა სიღრმისეული და პირისპირ ინტერვიუებით.

3. კონტექსტის მიმოხილვა: ხანდაზმულთა ზრუნვის სისტემა

3.1. სამართლებრივი ჩარჩო

მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის არსებობის მიუხედავად, ქვეყანაში დაბერებასთან დაკავშირებული პოლიტიკის განხორციელების მოქმედი სტრატეგიის არარსებობა უამრავ ბარიერს ქმნის რესურსების განაწილების, ხანდაზმული ადამიანებისა და ზრუნვის გამცემი პირების მხარდაჭერის კუთხით. „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 27 მაისის დადგენილების მიხედვით, საქართველოს მთავრობას დაევა 2016-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება კონცეფციის განსახორციელებლად.³ საქართველოს მთავრობამ 2017 წელს დაამტკიცა საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომლის ვადაც 2018 წლის ბოლოს ამოიწურა, რის შემდეგაც ახალი სამოქმედო გეგმა არ შემუშავებულა. 2018 წელს უნდა მომხდარიყო სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური მიმოხილვა, რაც მომდევნო სამოქმედო გეგმაში უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, რაც ასევე არ შესრულებულა. შესაბამისად, საქართველოში არ არსებობს მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის შესრულების მექანიზმი. სახალხო დამცველი წლებია, საუბრობს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შედეგების განხილვისა და გათვალისწინების აუცილებლობაზე, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ (საქართველოს სახალხო დამცველი, 2022, გვ. 280). ყოვლისმომცველი სტრატეგიის არარსებობა ხელს უშლის რესურსების სწორ განაწილებას და მხარდაჭერი მექანიზმების შექმნას, რაც სხვა შემთხვევაში მისაწვდომი იქნებოდა ხანდაზმულებისთვის და მათზე მზრუნველი პირებისთვის. დაბერების შესახებ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების სტრატეგიის არარსებობის პირობებში ზრუნვის გამცემ პირებს აკლიათ შესაბამისი სახელმძღვანელო სტანდარტების ცოდნა, მხარდაჭერა (მაგ. სამართლებრივი, ფინანსური) და რესურსები, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მათ საქმიანობას.

ხანდაზმულ პირთა სოციალური დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა, რომლის საპასუხოდაც საქართველოს კანონმდებლობა როგორც ფულად, ისე არაფულად სოციალურ დახმარებებს ითვალისწინებს. ფულად დახმარებებში შედის სახელმწიფო პენსია, საარსებო შემწეობა სიღარიბეში მცხოვრები ხანდაზმულებისთვის, საყოფაცხოვრებო სუბსიდია, სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები ხანდაზმულებისთვის, ვეტერანების სოციალური დაცვა და სახელმწიფო კომპენსაცია განსაკუთრებულ შემთხვევებში (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2022, გვ. 13-14). არაფულადი დახმარება გულისხმობს სათემო ხანდაზმულთა სპეციალიზებულ საცხოვრის, სათემო ორგანიზაციების სახით, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებს, რომლის ფარგლებშიც გარკვეული მომსახურებების მიღება უფასოა ხანდაზმული ადამიანებისთვის, დამხმარე საშუალებებით (სმენის აპარატები, ყავარჯნები, ხელჯოხ-ყავარჯნები და გადასაადგილებელი ჩარჩოები) უზრუნველყოფის ქვეპროგრამას, ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამას (იქვე, გვ. 16). ფულადი და არაფულადი მხარდაჭერის მექანიზმები განსაზღვრავს რო-

3 საქართველოს პარლამენტის დადგენილება 5146-III „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ, მე-2 მუხლი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3297267?publication=0> (ბოლოს ნანახია: 07 აგვისტო, 2023).

გორც ხანდაზმულების კეთილდღეობას, ასევე ზრუნვის გამცემი პირების მიერ გაწეული ზრუნვის ტიპს, მოცულობასა და ხარისხს. ვინაიდან ზრუნვის შრომის ტვირთი გენდერული როლებიდან გამომდინარე უმეტესწილად ქალებზე მოდის, სამართლებრივი ჩარჩოს ნაკლოვანებები, ეროვნული სტრატეგიის არარსებობა და მხარდამჭერი მექანიზმების გაუმართაობა/არასაკმარისობა არაპროპორციულ უარყოფით გავლენას ახდენს ქალებზე, რადგან როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური ზრუნვის შრომა არაპროპორციულად მოდის მათზე. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, კანონმდებლობა და სოციალური დაცვის მექანიზმები არ იყოს გენდერულად ბრმა და ითვალისწინებდეს ზრუნვის გენდერულ ასპექტებს.

3.2. სახელმწიფო პანსიონატები

საქართველოში ამჟამად ფუნქციონირებს ორი სახელმწიფო პანსიონატი – თბილისსა და ქუთაისში, რომლებიც სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფილიალებია (სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, 2023). სააგენტოს ინფორმაციით, 2012 წელს თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში გამოცხადდა მორატორიუმი, რის საფუძველზეც იქ ახალ ბენეფიციარებს აღარ იღებენ. თუ 2018 წელს ბენეფიციართა რაოდენობა 50 იყო, 2023 წლის ივლისის მდგომარეობით, თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში განთავსებულია 14 ბენეფიციარი. კვლევის რესპონდენტების თქმით, სახელმწიფოს აქვს დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ადამიანები უნდა ცხოვრობდნენ ოჯახთან მიახლოებულ გარემოში და არა დაწესებულებებში, რაც განაპირობებს ამ დაწესებულებებში ბენეფიციარების რაოდენობის შემცირებას.

„პანსიონატი უფრო დიდი ზომის მომსახურებაა და თავად ბენეფიციარის ინტერესშია, რომ იყოს ოჯახთან მიახლოებულ გარემოში. პანსიონატებში განთავსება თითქმის აღარ ხორციელდება. მაქსიმალურად ვცდილობთ, განვათავსოთ სათემო ორგანიზაციებში“; – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი

დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკის სიკეთეებით სარგებლობას ბენეფიციარები შეძლებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მათთვის უზრუნველყოფს საოჯახო ტიპის დაწესებულებების მაღალი ხარისხის მომსახურებას. ბენეფიციარის ფიზიკური გადაყვანა პანსიონატებიდან საოჯახო ტიპის დაწესებულებებში არაა საკმარისი წარმატებული პროცესისთვის, აუცილებელია ზრუნვის ამ ახალ კონტექსტში უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი მხარდამჭერა და პირობები, რაც დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკის მთავარი მიზანია.

3.3. სათემო ორგანიზაციები

ოჯახთან მიახლოებული გარემოს შესაქმნელად ქვეყანაში ხელმისაწვდომია სათემო ორგანიზაციების მომსახურება. სათემო ორგანიზაციები ფინანსდება სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში, რომელიც სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ნაწილია.

ქვეპროგრამა მოიცავს როგორც ხანდაზმულთა, ისე შშმ პირთა სათემო მომსახურებას და, 2023 წლის მაისის მდგომარეობით, 632 ბენეფიციარს ფარავს. მომსახურების მომწოდებლები არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც რეგისტრირდებიან სამინისტროში რეგისტრაციის წესის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ სერვისის დამფინანსებელი სახელმწიფოა, მომსახურების და ადმინისტრირების ვალდებულება აქვთ შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებს.

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მისი მონიტორინგისა და შეფასების სააგენტო მუდმივად ახორციელებს მოქმედი დაწესებულებების მონიტორინგს, რაც გულისხმობს როგორც გვეგმურ, ისე არაგვეგმურ ვიზიტებს. ვიზიტების დროს ფასდება „სადღეღამისო სპეციალიზირებულ დაწესებულებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალურ სტანდარტებთან“ შესაბამისობა. ამ სტანდარტების მიხედვით, ზრუნვის გამცემი და მიმღები პირების პროპორცია შემდეგნაირადაა განსაზღვრული: თვითმოვლის უნარის არმქონე 7 ბენეფიციარზე გათვლილია ერთი მზრუნველი, ხოლო თვითმოვლის უნარის მქონე 15 ბენეფიციარზე – მინიმუმ ერთი მზრუნველი.⁴ ეს თანაფარდობა ზრუნვის გამცემ პირებზე საკმაოდ დიდ დატვირთვას გულისხმობს, რაზეც რესპონდენტების მონათხრობიც მეტყველებს. სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლების თქმით, მძიმე სამუშაო პირობებისა და დაბალი ანაზღაურების გამო რთულია კადრების შენარჩუნება. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები ფასიანია და საკმაოდ სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული, რისი გადახდაც დამსაქმებლებს თანამშრომელთა მუდმივი გადინების გამო არ სურთ.

გარდა ამისა, სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები უკმაყოფილებას გამოხატავენ იმის გამო, რომ კომუნალური გადასახადების გადახდა კომერციული ტარიფით უწევთ, რაც მათ ხარჯებს კიდევ უფრო ზრდის და აზარალებს როგორც დასაქმებულებს, ისე ბენეფიციარებს. აუცილებელია, გამოიყოს საკმარისი რესურსი მსგავსი ტიპის დაწესებულებების გასამართად, პირობების გასაუმჯობესებლად, მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად და მათთვის შესაბამისი ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, რაც პირდაპირ აისახება ზრუნვის მიმღებთა კეთილდღეობაზე.

„სათემო მომსახურება არის ერთ-ერთი ნავსაყუდელი იმ ადამიანებისთვის, ვისაც ზრუნვა სჭირდება და სახსრები არ აქვს. მაგრამ, როგორც ვთქვი, დაფინანსება ძალიან მწირია⁵. არარეალისტური დავალება აქვთ მიცემული, რომ ამ დაფინანსებით ხარისხიანი მომსახურება გაწიონ. ყველამ იცის, რომ ამ თანხით ეს მომსახურება ვერ იქნება მიწოდებული ამ სტანდარტით. ეს იცის გადამხდელმა, ეს იცის მომსახურების მიმწოდებელმაც და ეს იცის მომსახურების მიმღებმაც, მაგრამ რატომღაც ყველა შევთანხმდით, რომ მოდით ამ ტყუილზე ნუ ვილაპარაკებთ“; – უჩა ვახანია, კოალიცია „შინმოვლა საქართველოში“; აღმასრულებელი დირექტორი

4 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 23 ივლისის N01-54/6 ბრძანება სადღეღამისო სპეციალიზირებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5873429?publication=0> (ბოლოს ნანახია: 07 აგვისტო, 2023).

5 სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 69-ე დადგენილების მიხედვით, სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში, ხანდაზმული ბენეფიციარის დღიური დაფინანსება შეადგენს 30 ლარს. დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5727062> (ბოლოს ნანახია: 11 ნოემბერი, 2023).

გარდა ამისა, სახელმწიფო არ იღებს პასუხისმგებლობას სათემო ორგანიზაციაში მისი დაფინანსებით მყოფი ბენეფიციარის გარდაცვალების შემდგომ ხარჯებზე. ექსპერტების თქმით, მწირი რესურსების გამო, თითქმის შეუძლებელია ხანდაზმულებისთვის სტანდარტების შესაბამისი პირობების შექმნა, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საფრთხეს უქმნის დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის წარმატებას.

3.4. შინმოვლის სერვისი

შინმოვლა თავისი არსით გულისხმობს პაციენტის ბინაზე მულტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობას, რომლის შემადგენლობაში არიან ექთანი, ექიმი, სოციალური მუშაკი, საჭიროების შემთხვევაში ოკუპაციური თერაპევტი, ტექნიკური ასისტენტი⁶ და საყოფაცხოვრებო ასისტენტი⁷. საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, როგორც წესი, სახელმწიფოს მიერ მომსახურების საჭიროება განისაზღვრება ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების აქტივობების (Activities of Daily Living – ADL) შესრულების უნარის მიხედვით. ეს აქტივობებია: დაბანა, ჩაცმა, გადაადგილება, კვება, საპირფარეშოთი სარგებლობა, საწოლიდან წამოდგომა. ასევე, მნიშვნელოვანია ყოველდღიური ცხოვრების ინსტრუმენტული აქტივობები (Instrumental Activities of Daily Living – AIDL), რაც გულისხმობს სამრეცხაო სერვისებს, შინამეურნეობას, საკვების მომზადებას, ტრანსპორტირებას, მედიკამენტების მიღებასა და ტელეფონით სარგებლობას (ვერულავა, 2016). თუ ადამიანს რომელიმე ან რამდენიმე კომპონენტში სჭირდება დახმარება, აქ უნდა ჩაერთოს ზრუნვის სისტემა. საქართველოში შინმოვლის მომსახურების ქვეპროგრამით სარგებლობისთვის მოვლის საჭიროების მქონე პირის ყოველდღიურ საქმიანობებში დახმარების საჭიროება (ADL) და დამოუკიდებლად ფუნქციონირების ხარისხი განისაზღვრება ბართელის სკალის მიხედვით სამედიცინო დაწესებულების მიერ.⁸

„თუ ასეთი [მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ] ჩართვა არ ხდება, ეს ადამიანი ნელ-ნელა ხდება ისეთი გართულებების მსხვერპლი, როგორიცაა საშარდე გზების აღმავალი ინფექცია, ფილტვის ანთება, კონტრაქტურა, შეკრულობა, თრომბოზები, სოკოვანი დაავადებები და ბოლოს ნაწოლები. ბოლოს ეს ადამიანი, უკვე გართულებული, დამძიმებული მდგომარეობით, შეიძლება სეფსისიც იყოს, ხვდება საავადმყოფოში, რაც პრობლემას მხოლოდ დროებით აგვარებს. მკურნალობის ნაცვლად ზრუნვითი მომსახურების მიჩენა ამ პრობლემის პრევენციას მოახდენდა;– უჩა ვახანია, კოალიცია „შინმოვლა საქართველოში“, აღმასრულებელი დირექტორი

საქართველოში შინმოვლის სერვისი 1990-იანი წლებიდან გაჩნდა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით. ათწლეულების განმავლობაში შინმოვლის მომსახურება ვითარდებოდა დონორი ორგანიზაციების, ადგილობრივი მიმწოდებლებისა და ცალკეული მუნიციპალიტეტების ძალისხმევით, ერთიანი სახელმწიფო ხედვის არარ-

6 ტექნიკური ასისტენტის პასუხისმგებლობა ბენეფიციარისთვის ბინაზე არსებული ტექნიკური პრობლემების მოგვარება, ფიზიკური გარემოს ადაპტაცია.

7 საყოფაცხოვრებო ასისტენტი პასუხისმგებელია საშინაო საქმეებზე, როგორიცაა ბინის დალაგება, საკვების მომზადება და ა.შ.

8 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N48/ნ (2023 წლის 11 ივლისი) შინმოვლის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტის დამტკიცების თაობაზე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5845785?publication=0> (ბოლოს ნანახია: 9 ნოემბერი, 2023).

სებობის პირობებში. 2021 წლის მდგომარეობით, არაკომერციულ შინმოვლის მომსახურებას ახორციელებდა 14 ორგანიზაცია. 4 შემთხვევაში – ბოლნისში, ზუგდიდში, ტყიბულსა და ფოთში, მომსახურებას ახორციელებენ მუნიციპალური სტრუქტურები; კერძოდ: ბოლნისში – ა(ა)იპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბოლნისის სათნოების სახლი“; ზუგდიდში – „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახური“ მუნიციპალური ა(ა)იპ-ების ჩართულობით, ტყიბულში – „ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური“ და ფოთში – მერიის ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრი“ (ესაკია, გილიგაშვილი, ვახანია, & დათეშიძე, 2022, გვ. 13-14). 2021 წლის მონაცემებით, საქართველოში შინმოვლის სერვისები ხორციელდებოდა 28 მუნიციპალიტეტში, აქედან 4-ში სრულად დონორული დაფინანსებით, დანარჩენ მუნიციპალიტეტებში კი – თანადაფინანსებით ან სრულად მუნიციპალური ბიუჯეტით. თბილისში რამდენიმე ორგანიზაციას აქვს შინმოვლის კომერციული სერვისი, თუმცა ბაზრის ყველაზე დიდი წილი უჭირავთ ინდივიდუალურ, კერძო მომვლელებს, რომლებიც არაფორმალურად არიან დასაქმებულები (იქვე).

2006 წელს ოთხმა ორგანიზაციამ (ფონდი თაობა, კავშირი ონკოპრევენციის ცენტრი, კავშირი ადამიანი, ბუნება) დააფუძნა კოალიცია „შინმოვლა საქართველოში“ შინმოვლის მომსახურების კოორდინირებისა და ლობირების მიზნით. შემდეგ ათწლეულში კოალიციამ თბილისის, გორის, ხელვაჩაურისა და ბათუმის მასშტაბით განახორციელა დონორების მიერ მხარდაჭერილი საპილოტო პროექტები. კოალიციის წარმომადგენლების თქმით, მათ გამოცდილების საფუძველზე შექმნეს შინმოვლის მეთოდოლოგია და სტანდარტები, ყველა დეტალის გათვალისწინებით, რომელიც 2010 წელს წარადგინეს ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე. სახელმწიფო შინმოვლის პროგრამა 2023 წელს დამტკიცდა. 2023 წელს პროგრამა ფუნქციონირებას საპილოტო რეჟიმში დაიწყებს და საწყის ეტაპზე 400 ადამიანს მოიცავს.

„ადვოკატირებაში გასული წლების მიღმა დგანან ადამიანები, კონკრეტული ოჯახები, რომლებმაც ეს პრობლემა, სიმძიმე გადაიტანეს მთელი თავისი უარყოფითი დატვირთვით ნაცვლად იმისა, რომ შვება ჰქონოდათ და სხვანაირად გადაეჭრათ ეს პრობლემა“; – უჩა ვახანია, კოალიცია „შინმოვლა საქართველოში“, აღმასრულებელი დირექტორი

შინმოვლის სერვისი უმნიშვნელოვანესია, რადგან ის აუმჯობესებს არა მხოლოდ ხანდაზმული ადამიანების, არამედ მათი ოჯახის წევრების, მათზე მზრუნველი პირების ცხოვრების ხარისხს. ზრუნვის სისტემის ჩართვის გარეშე ხანდაზმულ ადამიანებზე ზრუნვის ტვირთი უმეტესად ოჯახის წევრ ქალებზე გადადის, რაც მათ სხვა როლებსა და პასუხისმგებლობებს ემატება. შესაბამისად, შინმოვლის სერვისთან დაკავშირებით ერთიანი, მკაფიო სახელმწიფო ხედვის არსებობა, მისი გამართვა და სერვისის გამცემი პირებისთვის ღირსეული სამუშაო პირობების შექმნა იქნება ნაბიჯი ზრუნვის შრომის თანაბარი განაწილებისკენ.

3.5. კერძო დაწესებულებები

საქართველოში ფუნქციონირებს ხანდაზმულთა ზრუნვის კერძო დაწესებულებები, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებას არ იღებენ და არც მისი მხრიდან კონტროლს ექვემდებარებიან. მსგავსი დაწესებულებებისთვის არ არსებობს სავალდებულო სტანდარტები, რაც პრობლემურია. ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის

თქმით, ეს საკითხი დიდი ხანია, განხილვის საგანია, თუმცა ჯერ არ შემუშავებულა ფორმა, რის მიხედვითაც შეძლებდნენ კერძო დაწესებულებების მონიტორინგს.

„როცა სამინისტრო თვითონ იხდის თანხას, იმის გამკონტროლებელი არის, რა თქმა უნდა, მაგრამ როცა მე ვიხდი თანხას ჩემი ოჯახის წევრის მოვლაში, იქ მე ვიღებ გადაწყვეტილებას სად მყავდეს, სრულწლოვანი პირების სერვისია. თუმცა, როცა ირღვევა ბენეფიციარის უფლება, ამის საქმის კურსში მინიმუმ ვინმე უნდა იყოს. ახლა ძალიან ინტენსიურად მიდის შეხვედრები ამასთან დაკავშირებით, რომ ფორმალიზება უნდა მოხდეს ყველა 24-საათიანი მომსახურებისა და იყოს ერთიანი მიდგომა და ერთიანი წესი, გასაკონტროლებელი სისტემა. იმედი გვაქვს, წელს, წლის ბოლომდე ეს გვექნება, რაც დაარეგულირებს 24-საათიანი ზრუნვის დაწესებულებებს. ამ ეტაპზე არაა,“ – ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი

კერძო დაწესებულებების მომსახურებით სარგებლობა საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, თუმცა ამ მიმართულებითაც არაერთგვაროვანი სიტუაციაა. არის შედარებით ხელმისაწვდომი დაწესებულებებიც, თუმცა უმეტესობაში 24-საათიანი მომსახურების ღირებულება 75-100 ლარამდე მერყეობს. დაწესებულებების მიხედვით განსხვავდება მომვლელთა და ბენეფიციართა თანაფარდობაც, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ზრუნვის გამცემი პირები ზედმეტად გადატვირთულები არიან. თანამშრომლები ძირითადად ქალები არიან, რომელთაც უწევთ 24-საათიანი გრაფიკით ცვლებში მუშაობა. დაწესებულებების თანამშრომლებთან გასაუბრების საფუძველზე ჩნდება შთაბეჭდილება, რომ დასაქმებულებს შორის ფუნქციები მკვეთრად გამიჯნული არაა და ხშირად თითოეულ მათგანს ბენეფიციარებზე ზრუნვასთან დაკავშირებული განსხვავებული საქმიანობების შეთავსება უწევს. კერძო დაწესებულებათა კონტროლის მექანიზმის არარსებობის გამო ამ დაწესებულებათა ზუსტი რაოდენობის დადგენა კვლევის ფარგლებში რთული იყო.

3.6. არაფორმალური ზრუნვის შრომა

ხანდაზმულთა ზრუნვის სისტემაში, სხვა რგოლების გაუმართაობიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდი დატვირთვა მოდის არაოფიციალურად დასაქმებულ მომვლელებსა და ექთნებზეც, რაც ფორმალური მხარდაჭერის სისტემის ხარვეზებითაა გამოწვეული. ხანდაზმულებზე ზრუნვაში არაფორმალურად დასაქმებული პირები თითქმის ყოველთვის ქალები არიან. ეს ადამიანები დგანან მთელი რიგი გამოწვევების წინაშე, რასაც პირველ რიგში მათი შრომის ოფიციალური აღიარებისა და რეგულირების არარსებობა იწვევს. არაფორმალურად დასაქმებული მზრუნველების საქმიანობა არასტაბილური და დაბალანაზღაურებადია. ისინი განსაკუთრებით დაუცველები არიან ქვეყნის ეკონომიკური არასტაბილურობის მიმართ. კოვიდ-19-ის აქტიურ ფაზაში, ზრუნვის შრომაში არაფორმალურად დასაქმებული ადამიანები შემოსავლის გარეშე დარჩნენ და შრომითი ხელშეკრულების არარსებობის გამო ერთჯერადი, მიზერული კომპენსაციის მიღებაც კი გაუჭირდათ (UN Women, 2020). გარდა ამისა, არაფორმალურ მზრუნველებს იშვიათად მიუწვდებოდათ ხელი პროფესიულ გადამზადებასა და შესაბამის რესურსებზე, რაც ართულებს მათი მხრიდან რელევანტურ რეაგირებას ხანდაზმულთა კომპლექსურ სამედიცინო და ფსიქოლოგიურ საჭიროებაზე. ეს ფაქტორი გავლენას ახდენს როგორც ხანდაზმულთა, ისე არაფორმალურად დასაქმებული მზრუნველების კეთილდღეობაზე.

კომპეტენციის ნაკლებობისა და ზრუნვასთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტივობის არასწორად შესრულების გამო შესაძლოა დაზიანდეს როგორც ზრუნვის მიმღების, ისე ზრუნვის გამცემის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობა.

3.7. აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომა

სახელმწიფო სერვისების სიმწირის/არარსებობისა და კერძო მომსახურების მაღალი ღირებულებიდან გამომდინარე, ხანდაზმულებზე ზრუნვის ტვირთის დიდი ნაწილი ოჯახის წევრ ქალებზე მოდის. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ 2020-2021 წლებში ჩატარებული დროის გამოყენების კვლევის მიხედვით, საქართველოში ქალები კაცებზე 5-ჯერ მეტ დროს ხარჯავენ აუნაზღაურებელ საოჯახო შრომაზე სოფლებში, ხოლო 4.7-ჯერ მეტს თბილისსა და სხვა ქალაქებში (UN Women, 2022). ხანდაზმულებზე აუნაზღაურებელი ზრუნვის მხრივ სიტუაციას განაპირობებს როგორც სოციო-ეკონომიკური, ისე კულტურული ფაქტორებიც. მაგალითად, რამდენიმე რესპონდენტის თქმით, ზოგიერთი რეგიონის სოფლებში უარყოფითი დამოკიდებულებაა ზრუნვის დაწესებულებებისა და ანაზღაურებადი მზრუნველების მიმართ და ოჯახის შეურაცხყოფადაც კი მიაჩნიათ უცხო ადამიანის მხრიდან თავიანთ ხანდაზმული ოჯახის წევრზე ზრუნვა.

მსგავსი დამოკიდებულება კიდევ უფრო ამძიმებს ქალებზე დაკისრებულ ზრუნვის ტვირთს. სოციალური და კულტურული ნორმების შედეგად გაზრდილი პასუხისმგებლობები გავლენას ახდენს მათ ემოციურ და ფიზიკურ კეთილდღეობაზე, ზღუდავს მათ ეკონომიკურ პერსპექტივას და ხელს უწყობს გენდერული უთანასწორობის ციკლის გაგრძელებას. კვლევის მონაწილეების თანახმად, მსგავსი დამოკიდებულება იგრძნობა მუნიციპალიტეტებისგანაც.

4. ხანდაზმულაზე ზრუნველთა წინაშე არსებული გამოწვევები

4.1. ზრუნველთა სამუშაო პირობები

ხანდაზმულებზე ზრუნვის სხვადასხვა დაწესებულებაში დასაქმებული ან არაფორმალურად დასაქმებული რესპონდენტების თქმით, მათი სამუშაო პირობები მძიმე და არასტაბილურია. ბევრი მათგანი 24-საათიანი ცვლებით მუშაობს და მთელი ამ დროის განმავლობაში ძლიერი ფიზიკური დატვირთვის ქვეშაა, რაც პირველ რიგში საფრთხეს უქმნის მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობას და ასევე ზრდის გადაწვის რისკსაც. ხანდაზმულ ადამიანებზე ზრუნვა შეიძლება მოიცავდეს მძიმე საგნების აწევას, ხანდაზმულების დახმარებას მობილობაში და მუდმივად მოძრაობაში ყოფნას. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამ აქტივობების შესრულება იწვევს გადაღლილობას და, ამავდროულად, შესაძლოა გახდეს ფიზიკური დაზიანებების, ქრონიკული ტკივილისა და ჯანმრთელობის მრავალი პრობლემის მიზეზი.

კვლევის მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ დაღლილობა, მძიმე წონის აწევა და ძილთან დაკავშირებული პრობლემები მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, რომელიც არაფორმალურადაა დასაქმებული ხანდაზმულის მომვლეად, მძიმე წონის ბენეფიციართან ხანგრძლივი მუშაობის გამო დასჭირდა ჰისტეროქტომია. მუდმივმა ფიზიკურმა დატვირთვამ და მძიმე წონის აწევამ შეიძლება გამოიწვიოს საშვილოსნოს პროლაფსი, რის სამკურნალოდაც განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში შესაძლოა ჰისტეროქტომია გახდეს საჭირო. ექთნის და მომვლელის პროფესიის მქონე ადამიანებისთვის არსებობს სხვადასხვა ტექნიკა, რომლებიც მძიმე წონის პაციენტებთან/ბენეფიციარებთან მუშაობისას გამოიყენება და რითაც მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილებაა შესაძლებელი, თუმცა ამ ცოდნაზე ძალიან ცოტა ადამიანს მიუწვდება ხელი. შედეგად, მათ საკუთარი ჯანმრთელობის ფასად უწევთ არსებობისთვის საჭირო ხარჯების დასაფარად შრომა. რესპონდენტების თქმით, ზოგიერთ არასამთავრობო და საქველმოქმედო ორგანიზაციას აქვს ამ საკითხებთან დაკავშირებული უფასო კურსები, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია საჭირო ადამიანებამდე ვერ აღწევს.

„იმის გამო, რომ თავის დროზე ვერ გაიარა ვილაცამ ტრენინგურსი, ისეთი, რომელიც მას ბევრ კარგ ტექნიკას, მეთოდს შეასწავლიდა, ამ ადამიანების უმრავლესობას დაზიანებული აქვს ჯანმრთელობა: ხერხემალი, ზურგი, იმის გამო, რომ უწევთ სიმძიმეების აწევა და ეს მართლა ძალიან დიდი გამოწვევაა, არადა, ერთთვისანი კურსიც კი საკმარისი იქნებოდა მათთვის, რომ გაცილებით იოლად გამკლავდებოდნენ ამ სირთულეებს“ – ექთანი

ამასთან, ზრუნვის შრომაში ჩართულ ქალებს არ აქვთ საკმარისი დრო და დასვენების დღეებით სარგებლობის პრივილეგია, თუნდაც ერთკვირიანი კურსი რომ გაიარონ. მიუხედავად სამუშაოს სიმძიმისა, ზრუნვის გამცემი პირების ანაზღაურება დაბალია. რესპონდენტების თქმით, ზოგიერთი ექთანი და მომვლელი ანაზღაურების გამო 3-4 ლამეს სხვადასხვა ადგილას ათევენ, იმისათვის რომ ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საკმარისი თანხა გამოიმუშაონ. ხანდაზმულებზე ზრუნვის შრომა გაუფასურებელია, რაც მძიმე სამუშაო პირობებსა და დაბალ ანაზღაურებაში გამოიხატება. ეს ფაქტორები ხაზს უსვამს ზრუნვის სფეროში არსებულ სისტემურ უთანასწორობებსა

და ექსპლუატაციის პრაქტიკას, რაც აშკარაა მონაცემების ფემინისტური პოლიტიკური ეკონომიკის ჩარჩოდან ანალიზის პროცესში.

„24 საათი მძიმე ფიზიკური და ემოციური შრომაა. დასვენების დრო არ მრჩება. ეს შემოსავალი მხოლოდ საკვების ფულს ფარავს, თორე მაგაზე მეტს არაფერს“; – კერძო დაწესებულებაში დასაქმებული ქალი

უფრო რთულ სიტუაციაში არიან ზრუნვის გამცემი პირები, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ. ბევრ მათგანს ბენეფიციარებთან მისალწევად ძალიან დიდი გზის გავლა უწევთ საზოგადოებრივი და პირადი ტრანსპორტის არარსებობის პირობებში. მაგალითად, ხარაგაულის რაიონში ერთ-ერთი ექთნის თქმით, სოფელში პაციენტთან მისასვლელად, ფეხით შვიდ კილომეტრს გადის⁹ და მხოლოდ იმ საათ-ნახევრის ანაზღაურებას იღებს, რასაც პაციენტთან ატარებს. მსგავსი გამოწვევებიდან გამომდინარე, ზოგიერთ სოფელში დამკვიდრებულია პრაქტიკა, რომლის მიხედვითც მოსავლელი ხანდაზმული მომვლელს საკუთარ სახლში გადაჰყავს, რადგან იმ გარემოში დასახლებებს/სახლებს შორის საჭირო სიხშირით გადაადგილება არარეალისტურია.

„სოფლებში მოსავლელი მძიმე როცაა, თავისთან მიყავთ, იმასთან სიარულს ურჩევნიათ. თავის სახლში უვლიან. ესეც შავი ბაზარია, ოფიციალურად არ ხდება“; – სფეროს ექსპერტი

ბევრი გამოწვევის წინაშე დგანან ადამიანები, რომლებიც აუნაზღაურებელ შრომას ეწევიან და ოჯახის ხანდაზმულ წევრს უვლიან. ეს შრომა უკიდურესად დაუფასებელია და ძირითადად ქალებს აქვთ დაკისრებული. გარდა ფიზიკური შრომისა, ხანდაზმულებზე ზრუნვა ძალიან დიდ დროს, ყურადღებასა და ემოციურ შრომას შეიძლება მოითხოვდეს, ხანდაზმულის დამოუკიდებლობის ხარისხიდან გამომდინარე. ფიზიკური შრომისგან განსხვავებით, ემოციური შრომის ნაწილი უხილავი და სრულიად დაუფასებელია. სახელმწიფო მხარდამჭერი სერვისების არარსებობის პირობებში, ქალებს ძალიან უჭირთ ამ პასუხისმგებლობების სამსახურსა და სხვა მოვალეობებთან შეთავსება. შესაძლოა, ამ ფაქტორებმა როგორც ხანდაზმულის, ისე მასზე მზრუნველი პირის სოციალური იზოლაცია გამოიწვიოს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ფორმალურად და არაფორმალურად დასაქმებული მზრუნველების მიერ გაზიარებული გამოცდილებები ხაზს უსვამს ხანდაზმულთა ზრუნვის სფეროში არსებულ მძიმე და არასტაბილურ სამუშაო გარემოს, ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის რისკებსა და არასაკმარის ანაზღაურებას. ზრუნვის გამოცდილებებზე გენდერთან ერთად გავლენას ახდენს რესპონდენტების საცხოვრებელი ადგილი და რესურსებზე წვდომა, რაც ინტერსექციური ანალიზის საჭიროებას უსვამს ხაზს. ზრუნვის პროფესია, სადაც ქალები არაპროპორციულად არიან წარმოდგენილი, დაკავშირებულია დაუფასებელ შრომასა და ცხოვრების დაბალ ხარისხთან. ეს პრობლემა უფრო ფართო, სტრუქტურული უთანასწორობის ნაწილია, რასაც ქვეყანაში არსებული ხანდაზმულებზე ზრუნვის პოლიტიკა განაპირობებს.

9 საშუალო სიჩქარით 7 კილომეტრის ფეხით გავლას 1.5 საათი სჭირდება, თუმცა, სიჩქარის გარდა, რეალური ჯამური დრო დამოკიდებულია სხვა ფაქტორებზეც, როგორცაა, მაგალითად, სავალი გზის პირობები, შესვენებების რაოდენობა, ფიზიკური მდგომარეობა, ამინდი და სხვ.

4.2. ემოციური შრომა

კვლევის უკლებლივ ყველა მონაწილემ აღნიშნა, რომ ხანდაზმულებზე ზრუნვა ფიზიკურ შრომასთან ერთად, ძალიან დიდ ემოციურ რესურსს მოითხოვს, რაც მზრუნველსა და ზრუნვის მიმღებს შორის ურთიერთობის და ნდობის ჩამოყალიბების წინაპირობაა. ზრუნვის მიმღები თითოეული პირი განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს, ამიტომ ზრუნვის გამცემებს მუდმივად უწევთ საკუთარი ემოციების მართვა და სხვების განწყობებზე მორგება. ემოციების მუდმივ რეგულაციას კი უარყოფითი გავლენა აქვს მზრუნველების მენტალურ ჯანმრთელობაზე (Prentice, 2013).

„ნერვულ სისტემაზე მოქმედებს, ყველას უნდა ეფერო. ყოველთვის ამ განწყობაზე ხომ არ ხარ, მაგრამ ხარ თუ არ ხარ, უნდა უცინო და ეფერო და გაუკეთო ის, რასაც გთხოვენ, ძან რთულია ეს. ყოველთვის ბენეფიციარებზე ვართ გადართულები, ჩემი პირადი ნაკლებად მახსოვს. როგორღაც ვახერხებ, სხვა გზა არ მაქვს, ჯანმრთელობის ფასადაა. ძალიან მძიმე შრომაა,“ – არაფორმალურად დასაქმებული მზრუნველი

ზრუნვის დაწესებულებებში გადასვლის პროცესი და გარემოს რადიკალური ცვლილება ხანდაზმულებისთვის საკმაოდ სტრესულია. ამ დროს მზრუნველის პასუხისმგებლობაა, მოიპოვოს ბენეფიციარის ნდობა და შეუქმნას მას კომფორტული გარემო. ხშირ შემთხვევაში მზრუნველი ფიზიკურად ვერ შეძლებს ხანდაზმული ადამიანის მოვლას ამ ბარიერის გადაულახავად, რადგან შესაძლოა ბენეფიციარი არ ენდობოდა მას და ახლოსაც კი არ მიუშვას. ამ ბარიერის დასაძლევად მზრუნველები განსხვავებულ ხერხებს მიმართავენ. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ის დემენციის მქონე ბენეფიციარებთან ცდილობს მათი ოჯახის წევრების სახელების, ნაცნობი ადგილებისა და მოვლენების ხსენებას, იმისათვის, რომ ბენეფიციარებს უცხოს შიში და ამასთან დაკავშირებული შფოთვა მოეხსნათ.

„როცა შეგიყვარებენ, მერე სულ სიყვარულით გახასიათებენ. ეს აუცილებლად უნდა მოხდეს, რომ შენთან იგრძნონ თავი მშვიდად, დაამშვიდოს შენმა ხმამ, დაამშვიდოს შენმა ნახვამ. შეიძლება თავისი შვილი, თავისი ახლობელი ვერ იცნონ, მაგრამ მე მცნობენ, მე მეხუტებიან, არა იმიტომ, რომ მე თავის შვილზე მეტ სიყვარულს გავცემ, არამედ იმიტომ რომ დემენციის დროს მე მათში მოვიპოვე სიყვარული და ნდობა,“ – კერძო დაწესებულების თანამშრომელი

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბენეფიციარები მზრუნველების მიმართ აგრესიას გამოხატავენ. რესპონდენტების თქმით, ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ ფაქტს მზრუნველმაც აგრესიით არ უპასუხოს, მშვიდი და გაწონასწორებული დამოკიდებულება შეინარჩუნოს, რაც ზიანის თავიდან აცილების გზაა. ბუნებრივია, რომ მსგავსი სიტუაციების მართვას საკმაოდ დიდი ენერჯია და ემოციური რესურსი სჭირდება.

„ზოგთან უფრო ოფიციალურადაც გიწევს საუბარი. ეუბნები, რომ უნდა ჭამო, უნდა გამოიცვალო, უნდა დაიბანო, იმიტომ რომ სხვანაირად არ ჭრის. ყველას ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება,“ – არაფორმალურად დასაქმებული მზრუნველი

კვლევის ეს მიგნებები პირდაპირ ეხმიანება ემოციურ შრომასთან დაკავშირებულ თეორიებს. ხანდაზმულებზე მზრუნველ პირებს მუდმივად უწევთ საკუთარი ემოციების მართვა და ბენეფიციარების ინტერესებზე მორგება, რაც ემოციური რეგულაციის უნარს მოითხოვს. ემოციური რეგულაცია ემოციური შრომის ერთ-ერთი ფუნდამენტური კომპონენტია, განსაკუთრებით სამსახურებრივ კონტექსტში. ემოციების რეგულაცია შეიძლება გულისხმობდეს იმ ემოციების გამოხატვას, რასაც ადამიანი რეალურად არ განიცდის, ან განცდილი ემოციების დათრგუნვას. მუდმივი ემოციური რეგულაციის საჭიროებისა და ემოციური შრომის შედარებით მოკლევადიანი შედეგია ემოციური დისონანსი, ხოლო გრძელვადიანი შედეგი – გადაწვა, გადაღლა და მენტალური ჯანმრთელობის გაუარესება (Prentice, 2013). ნდობის მოპოვებისა და შფოთვის შემსუბუქებისთვის გაწეული ძალისხმევა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ემოციურ შრომას ხანდაზმულებზე ზრუნვის პროცესში.

„ემოციურად, რა თქმა უნდა, დიდი შრომაა. უკვე მიჩვეულები ვართ ამ სისტემას და ეხლა, მაგალითად, რომ დაახველებს პაციენტი, ვიცი უკვე ვინ დაახველა. ეს უფრო ინტიმურია, არაა სწავლებადი. ეს არაა საავადმყოფო, რუტინა არაა – ‘მიხვალ, გადაუსხამ, გადააბრუნებ’, აქ სხვა სპეციფიკა არის უფრო, აქ ყველა გთვლის მერე შენიანად“, – კერძო დაწესებულების თანამშრომელი ქალი

„ზოგს დემენცია აქვს, ალცჰაიმერი და მათ უნდათ სითბო, ჩახუტება და სულ ფერებაში უნდა გყავდეს, რომ რალაცნიარად შეუმსუბუქო მდგომარეობა. გარემოს რომ იცვლიან, ძალიან უჭირთ. სახლში ოჯახის წევრები არიან, ნათესავები და ამ გარემოს რომ იცვლიან, ძალიან აირევიან ხოლმე. ალგზნებულები არიან. მერე უკვე ჩვენ სახეებსაც ერევიან, როცა აქ მოათავსებენ და სიყვარულით უნდა გააკეთო და პროფესიონალურად“, – კერძო დაწესებულების თანამშრომელი ქალი

რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და გარშემომყოფებს არ ესმით, თუ რატომ აგრძელებენ ზრუნვის სფეროში მუშაობას ამდენი გამოწვევის მიუხედავად. მათი თქმით, ემოციურ შრომას აბალანსებს საქმის სიყვარული და სწორედ საქმის სიყვარულის გამო უღირთ სფეროში დარჩენა. აქ აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ბევრ სხვა შემთხვევაში, ზრუნვის შრომაში ჩართულ ქალებს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე უბრალოდ არ აქვთ სხვა არჩევანი და სურვილის შემთხვევაში გაუჭირდებათ სხვა სფეროში სამუშაოს პოვნა.

„მოვლისა და ზრუნვის სფეროში დასაქმებული ადამიანების უმრავლესობა ძალიან ბევრს იღებს თავის თავზე, რადგან პროფესიაა ასეთი. ხშირად ავიწყდებათ ხოლმე თავისი თავი. განსაკუთრებით ის, ვინც ღიდხანს რჩება ამ სფეროში. განსაკუთრებით ეს არის იმ ადამიანების კატეგორია, ვისაც უყვარს სხვა ადამიანები, ვისთვისაც მამოტივირებელია სხვაზე ზრუნვა, გაცემა, სიკეთის კეთება. მერე ერთბაშად იცვლება ასეთი ადამიანი, თუ თავის თავზე არ იზრუნა. ესეც არის ამ სფეროს სპეციალისტების დეფიციტის მიზეზი“, – სფეროს ექსპერტი

ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ არსებობს ზრუნვის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გამოცდილებები და კვლევის მონაწილეებს შორის ორივე კატეგორია მოხვდა. ფემინისტური კვლევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თავიდან ავიცილოთ ესენციალისტური მიდგომა და რამდენიმე რესპონდენტის პოზიტიური ემოციური გამოცდილების მიუხედავად, მძიმე და დაუფასებელი შრომის რომანტიზება არ მოვახდინოთ.

ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ემოციური გადაღლის თავიდან ასარიდებლად აუცილებელია პერიოდული შეხვედრების მოწყობა, სადაც მზრუნველებს შეეძლება საკუთარ პრობლემებზე საუბარი. მენტალური ჯანმრთელობის მხარდაჭერის სერვისების დეფიციტი ყველასთვის აქტუალური პრობლემაა, თუმცა ხანდაზმულებზე ზრუნვის სფეროში დასაქმებულთათვის ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონეა.

„სიკვდილთან მუდმივად შეხებაში ყოფნა ნამდვილად არაა ადვილი. ტყუილია ის გამოთქმა, რომ ერვევი. ის ადამიანი, რომელიც რჩება ამ სფეროში, კი არ ერვევა, ის სწავლობს ამ ტკივილთან ერთად ცხოვრებას. ვილაცას სხვა ემოციური ფონი აქვს, ვილაცა უფრო ახერხებს გამკლავებას, მაგრამ ფაქტია, რომ ოფიციალურად უნდა იყოს ჩადებული [ზრუნვის სისტემაში], მოწესრიგებული, სწორედ ის სამსახური და სერვისი, რაც ამ ადამიანებისთვისაც იქნება განტვირთვა და ხელმისაწვდომი იქნება“; – სფეროს ექსპერტი

ხანდაზმულთა ზრუნვის სფეროსთვის დამხასიათებელია ბენეფიციარების გარდაცვალებასთან დაკავშირებული ემოციური ტვირთი, რადგან მზრუნველებსა და ზრუნვის მიმღებებს შორის ხშირად ყალიბდება საკმაოდ ღრმა, ემოციური კავშირები. კვლევის მონაწილეთა თქმით, მათთვის ბენეფიციარის გარდაცვალება უდიდესი განსაცდელია, განსაკუთრებით მრავალწლიანი ურთიერთობის შემდეგ. ასეთი ემოციების მართვა საკმაოდ დიდ ძალისხმევასა და ემოციურ შრომას მოითხოვს.

„ვიცი, რომ 97 წლის ადამიანი, რომელიც დაავადებებითაა დახუნძილი, ვიცი, რომ დაუსრულებლად ვერიცოცხლებს. როგორც პროფესიონალი ვიცი, მაგრამ როგორც ადამიანს იმედი მაქვს, რომ იქნებ უფრო დიდხანს და კარგად იყოს. ერთი ქალბატონი ათი წელი მყავდა და მისი გარდაცვალება ძალიან გამიჭირდა. ბოლოს დედას მეძახდა“; – კერძო დაწესებულების თანამშრომელი ქალი

კვლევის მიგნებები ხაზს უსვამს ხანდაზმულთა ზრუნვის სფეროში ემოციური შრომის როლს. ხშირად, ემოციური შრომა ფიზიკური შრომის წინაპირობაა. ბენეფიციარებთან ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობა ზრუნვის შრომაში ჩართულების მხრიდან საკუთარი ემოციების მუდმივ რეგულაციას მოითხოვს, რაც საკმაოდ შრომატევადი პროცესია. კვლევის მონაწილეთა მრავალფეროვანი გამოცდილებები ზრუნვას, სიყვარულსა და ემოციებს შორის არსებულ კომპლექსურ კავშირებს უსვამს ხაზს. შესაბამისად, საზგასამელია მზრუნველებისთვის მენტალური ჯანმრთელობის მხარდაჭერის სერვისების განსაკუთრებული აუცილებლობა, რასაც მათი სამუშაოს სპეციფიკა და სიკვდილთან მუდმივი შეხება განაპირობებს. ემოციური შრომის უხილავობა და დაუფასებლობა კიდევ ერთხელ გამოკვეთს ზრუნვის სფეროში არსებულ უთანასწორობებს.

4.3. ხანდაზმულებზე ზრუნვის შრომის გენდერული ასპექტები

საქართველოში ხანდაზმულთა ზრუნვის სფეროში არსებული გამოწვევების შესწავლა მნიშვნელოვან გენდერულ განზომილებას ავლენს. სახელმწიფო სერვისების გაუმართაობის/ არარსებობის და კერძო მომსახურების სიძვირის გამო, ზრუნვის ტვირთი ძირითადად ქალ ოჯახის წევრებს აწევთ. ანაზღაურებად ზრუნვის შრომაში ჩართული პირებიც ძირითადად ქალები არიან. კვლევისთვის რესპონდენტების რეკრუტირების დროს შესამჩნევი იყო, რომ კაცები ძირითადად ადმინისტრაციულ, მენეჯერულ ფუნქციებს ასრულებენ, ხოლო ქალები უშუალოდ ზრუნვის შრომაში არიან ჩართული. ეს ფაქტი მიუთითებს ზრუნვის გენდერულ განზომილებასა და ქალების მიერ გაწეული მძიმე შრომის დაუფასებლობაზე.

„ამ პროფესიაში სულ ქალები არიან. მივესალმებით მამაკაცებსაც, მაგრამ მილიონში ერთია, ვინც მოინდომა, ისწავლა და დასაქმდა ამ მართულებით ჩვენთან, საქართველოში. ზრუნვა ქალის პრეროგატივად ითვლება. დედის, ქალის ტიპაჟიდან, ფუნქციებიდან გამომდინარე, რაც მიწებებული აქვს ქალს“, – კერძო პანსიონატის ხელმძღვანელი ქალი

რესპონდენტის თქმით, რომელსაც ხანდაზმულებზე ზრუნვის 30 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს, ამ სფეროში სულ 2-3 კაცი ახსოვს. მათ განათლება გერმანიაში ჰქონდათ მიღებული და მათ დასაქმებაზეც ძალიან დიდი მოთხოვნა იყო არა მხოლოდ დასავლური განათლების, არამედ სფეროში კაცების არასებობის გამო. ზოგ შემთხვევაში ზრუნვის დაწესებულებებში პრაქტიკის გასავლელად მოდიან უცხოელი სტუდენტები, რომლებიც საქართველოში საექთნო ან სხვა მომიჯნავე სპეციალობაზე სწავლობენ. სფეროს სპეციალისტის თქმით, საექთნო ფაკულტეტზე ქართველი კაცები არ სწავლობენ. რესპონდენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ზრუნვის შრომა არ ითვლება პრესტიჟულად, არაა დაფასებული სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან. სწორედ ამიტომ კაცებს ნაკლებად აქვთ ამ სფეროში ჩართვის სურვილი. გარდა ამისა, რესპონდენტების თქმით, ჩვენი საზოგადოებისთვის უცხოა კაცის მზრუნველისა და მომვლელის როლში დანახვა: „ისინი არ მივლენ და ვიღაცას არ დაბანენ“. ერთ-ერთი ქალი რესპონდენტის თქმით, რომელიც სათემო ორგანიზაციის დამფუძნებელია, მას კაც ბენეფიციარებთან მუშაობა არ ეუხერხულება, თუმცა გაუჭირდებოდა კაცისთვის მითითებების მიცემა.

ცხადია, რომ კულტურული კონტექსტი ქმნის დამატებით ბარიერს ხანდაზმულთა ზრუნვის სფეროში კაცების ჩართვისთვის. ისეთი პრაქტიკული გამოწვევები, როგორცაა კაცი მომვლელის მხრიდან ფიზიკურ ზრუნვასთან დაკავშირებული დისკომფორტი, როგორც ზრუნვის გამცემების, ისე ბენეფიციარების მხრიდან, მიუთითებს ღრმად ფესვგადგმულ გენდერულ ნორმებზე, რაც ზრუნვით ურთიერთობებზეც დიდ გავლენას ახდენს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ზრუნვის სისტემაში არსებული ხარვეზების კომპენსირება ძალიან ხშირად ქალებს უწევთ არაანაზღაურებადი შრომის გზით. ქალები დომინირებენ ანაზღაურებად ზრუნვაშიც, სადაც კაცები მხოლოდ ადმინისტრაციულ როლებს იკავებენ. კულტურული წარმოდგენები, რომლებიც ზრუნვის პასუხისმგებლობას ქალის როლთან აიგივებს, ხელს უწყობს კაცების არასაკმარის ჩართულობას ხანდაზმულთა ზრუნვის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ ზრუნვის შრომა აუცილებელია საზოგადოების ფუნქციონირებისთვის, ზრუნვით ურთიერთობებს განსაზღვრავს სოციალური ნორმები და მოლოდინები. ზრუნვის შრომის „არაპრესტიჟულობა“ და დაუფასებლობა უფრო ფართო, სისტემურ უთანასწორობებზე მიუთითებს.

5. ხანდაზმულთა მდგომარეობა მზრუნველთა გადმოსახედიდან

მზრუნველთა თქმით, ხანდაზმული ადამიანები არიან ეკონომიკური მოწყვლადობის მაღალი რისკის ქვეშ. ამას მოწმობს სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც, ხანდაზმული მოსახლეობის 36% რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში. რესპონდენტების თანახმად, ეს მონაცემები რეალობას არ ასახავს, რადგან ბევრი ხანდაზმული სოციალური დახმარების სისტემის მიღმა დარჩენილი. ამასთან, სოციალურად დაუცველის სტატუსი მიბმულია მნიშვნელოვან სერვისებთან. სფეროს ექსპერტის თქმით, ცალკეული დახმარებები, სუბსიდიები და პროგრამები ხშირ შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებენ სოციალურად დაუცველ პირს, შესაბამისი ქულების რაოდენობის გათვალისწინებით.

გამოწვევებია ხანგრძლივი ზრუნვის დაწესებულებებშიც. სახალხო დამცველის მიერ 2022 წელს ხანდაზმულთა დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შემდგომი ანგარიშის მიხედვით, კახეთში არსებულ ერთ-ერთ სათემო ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი დარღვევები აღმოჩნდა: დაწესებულებაში არ იყო გამართული ინფრასტრუქტურა და იყო ხანდაზმულებისთვის საფრთხის შემცველი გარემო, ხანდაზმულები იმყოფებოდნენ მძიმე ანტისანიტარიულ პირობებში, მათი კვებითი რაციონი იყო არასრულფასოვანი. შეფასების თანახმად, დარღვეული იყო თითქმის ყველა სტანდარტი (საქართველოს სახალხო დამცველი, 2022). კვლევის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო ვალდებულია მუდმივად აკონტროლოს მსგავსი დაწესებულებები და მოახდინოს სათანადო რეაგირება ხანდაზმული ადამიანების უფლებების დარღვევის ფაქტებზე. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, „როცა ერთი სტანდარტიც კი არ სრულდება, ნიშნავს, რომ პროგრამა ვერ მუშაობს და თავის მიზანს ვერ აღწევს, [პროგრამა] გადასახედიანა“ სახალხო დამცველის ანგარიშში ეხებოდა ზრუნვის სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებას, სადაც ბენეფიციარები ვაუჩერული დაფინანსებით იმყოფებიან. არანაკლებ მძიმე სიტუაციაა ზოგიერთ კერძო დაწესებულებაში. კერძო დაწესებულების წარმომადგენლებმა, რომლებმაც კვლევაში მიიღეს მონაწილეობა, აღნიშნეს, რომ მათთვის სახელმწიფოს არ დაუწესებია სტანდარტები.

„რა უნდა შეამოწმონ? თუ რეგულაცია და სტანდარტი არ დაიდო, როგორ უნდა მომთხოვონ რამე? მე ჩემი სტანდარტი მაქვს და ვცდილობ იმას მივყვე და ისე გავაკეთო, რომ ჩემ თავთან და სინდისთან მართალი ვიყო და ამ ადამიანებთანაც“ – ხანდაზმულთა ზრუნვის კერძო დაწესებულების თანამშრომელი ქალი

„რამდენიმე წელია ვიბრძვი, რომ სახელმწიფო შევიდეს მონიტორინგით ყველა ამდაგვარ დაწესებულებაში. სახელმწიფოს აქვს ასეთი პოლიტიკა, რომ თუ ფულს არ იხდის, იქ არ შედის მონიტორინგით. ისეთი ამბები მომდის იქიდან, თავზარდამცემი“ – სფეროს ექსპერტი

რესპონდენტებმა ასევე წამოჭრეს სახელმწიფოს დამოკიდებულების საკითხი ხანდაზმულთა მიმართ. მათი თქმით, სახელმწიფო ხანდაზმულებს ფუნქციურ ადამიანებად აღარ ხედავს, რაც კარგად ჩანს მის პოლიტიკაში. შედეგად, ადამიანებს დაბერების შიში აქვთ. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, რომელიც ზრუნვის სფეროში არაფორმალურადაა ჩართული, „რალაც უნდა მოასწრო, ასაკში რომ შედიხარ, თორემ არავინ

იცის რა გელოდება, სრულიად გაუგებარია ეს მომავალი.“ დღესდღეობით ხანდაზმულე-ბის კეთილდღეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ოჯახზე, რადგან სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებული მხარდაჭერა მწირია და ძალიან მცირე დაფარვა აქვს. სათემო დაწესებულებების წარმომადგენლების თქმით, სახელმწიფო არაფერს აკეთებს მის მიერ დაფინანსებული ბენეფიციარის გარდაცვალების შემთხვევაში. თუ ბენეფიციარს ოჯახის წევრები არ ჰყავს, სარიტუალო ხარჯების დაფარვა ორგანიზაციას უწევს.

„ვისაც ფული არ აქვს, მეზობლების, ნათესავების იმედად არიან. სახელმწიფო არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას“, – არაფორმალურად დასაქმებული მზრუნველი ქალი

„წინასწარ მოგროვილი, გათვალისწინებული თანხა უნდა გქონდეს, რომ დაკრძალო. შეიძლება ოჯახი არ ჰყავდეს ხანდაზმულს ან არ მოაკითხონ. მე ხომ არ მაქვს სარიტუალო ოთახი, მაცივარი. სხვა ბენეფიციარებისთვის ეს სტრესულია. სარიტუალო მომსახურებაში წაყვანა მიწევს, რაც ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული“, – სათემო ორგანიზაციის წარმომადგენელი

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მზრუნველთა პერსპექტივიდან, ხანდაზმული ადამიანების მოწყვლადობის ფონზე სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმები არაადეკვატური და არასაკმარისია. ხანდაზმულთა სიღარიბე და ზრუნვის დაწესებულებებში არსებული გამოწვევები ხაზს უსვამს ზრუნვის სისტემის ნაკლოვანებებს. ამასთან, სახელმწიფო ხანდაზმულებს არ აღიქვამს ფუნქციურ ადამიანებად, რაც იგრძნობა სახელმწიფო პოლიტიკაში. ამ და სხვა მიზეზების გამო, ხანდაზმულ ადამიანებს აქვთ მოტივაციის ნაკლებობა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად არ მონაწილეობენ.

რეკომენდაციები

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კვლევა აქცენტს აკეთებს ხანდაზმულებზე ზრუნვის სფეროში არსებულ მრავალფეროვან გამოწვევებზე საქართველოში ზრუნვის გამცემი პირების პერსპექტივიდან. არასაკმარისი სახელმწიფო სერვისები და დაურეგულირებელი კერძო სფერო მოწყვლად მდგომარეობაში აყენებს ხანდაზმულებს, რაც ფორმალურ და არაფორმალურ ზრუნვის შრომაში ჩართული ქალების ტვირთსაც ზრდის. ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა და ემოციური შრომა იწვევს ჯანმრთელობის სხვადასხვა და მძიმე პრობლემას და პროფესიულ გადაწვას. ეს პრობლემები მიუთითებს ყოვლისმომცველი მხარდაჭერის სერვისების აუცილებლობაზე როგორც ხანდაზმულებისთვის, ისე მათზე მზრუნველი პირებისთვის. ამასთან, კულტურული კონტექსტი და სოციალური ნორმები დიდ გავლენას ახდენს ზრუნვის დინამიკის ჩამოყალიბებაზე, რაც აისახება ზრუნვის სფეროში კაცების ჩართულობაზეც. ამ გამოწვევების საპასუხოდ აუცილებელია ყოვლისმომცველი მიდგომის შემუშავება, რაც მოიცავს სისტემურ რეფორმებს, მიზნობრივ მხარდაჭერასა და გენდერულად სენსიტიური პოლიტიკის შექმნას:

1. **ზრუნვის მიმღებთა საჭიროებების სიღრმისეული კვლევა** როგორც უშუალოდ ზრუნვის მიმღებთა, ისე ზრუნვის სფეროში ფორმალურად და არაფორმალურად დასაქმებული ადამიანების პერსპექტივიდან.
2. **სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესება** – რეკომენდებულია სახელმწიფომ პრიორიტეტი მიანიჭოს ხანდაზმულებისთვის ხელმისაწვდომი სახელმწიფო სერვისების შექმნასა და გაფართოებას. ყოვლისმომცველი და ძლიერი მხარდაჭერის ქსელის შესაქმნელად აუცილებელია მეტი რესურსის ჩადება სათემო ორგანიზაციებში, გრძელვადიანი ზრუნვის სხვა დაწესებულებებსა და შინმოვლის პროგრამაში.
3. **მზრუნველთა მხარდაჭერი სერვისების შექმნა** – აუცილებელია ხანდაზმულებზე ზრუნვის სფეროში ჩართულ ადამიანებს ჰქონდეთ წვდომა მენტალური ჯანმრთელობის სერვისებზე იმისათვის, რომ შეძლონ ემოციური გადაწვის და მენტალური ჯანმრთელობის სხვა პრობლემების თავიდან აცილება.
4. **უფასო ტრენინგები და გადამზადების კურსები სამედიცინო განათლების არმქონე ზრუნვის გამცემი პირებისთვის და ოჯახის წევრებისთვის** – რეკომენდებულია კვალიფიკაციის ასამაღლებელი უფასო კურსების შექმნა მზრუნველებისთვის, რაც მოიცავს ზრუნვის სხვადასხვა ტექნიკისა და მეთოდის სწავლებას ზრუნვის დროს ფიზიკური დაზიანებების და ემოციური გადაწვის თავიდან ასაცილებლად.
5. რეკომენდებულია კერძო 24-საათიანი ზრუნვის დაწესებულებების **კონტროლის მექანიზმის დროული შექმნა** და განხორციელება.
6. რეკომენდებულია ზრუნვის 24-საათიანი დაწესებულებებისთვის **კომუნალური გადასახადების ტარიფის შემცირება**.
7. **დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობა** – რეკომენდებულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ჯანდაცვის სპეციალისტების, თემის ლიდერების აქტიური თანამშრომლობის ხელშეწყობა ხანდაზმულებზე ზრუნვის კუთხით არსებული გამოწვევების საპასუხოდ.
8. **მზრუნველთა საჭიროებების სიღრმისეული კვლევა** როგორც თბილისში, ისე რეგიონებში, განსაკუთრებული აქცენტით ზრუნვის შრომაში არაფორმალურად ჩართულ პირებზე.

გამოყენებული წყაროები

- ესაკია, ნ., გილიგაშვილი, ე., ვახანია, უ., & დათეშიძე, ა. (2022). *შინმოვლა საქართველოში*. თბილისი: საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების ცენტრი; საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი.
- სუმბაძე, ნ., ქიტიაშვილი, ა., აბაშიძე, თ., ყვანია, ი., & მახარაძე, თ. (2020). *ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა ხანდაზმულებისთვის საქართველოში – არსებული სერვისები და ძირითადი საჭიროებები*. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
- ვერულავა, თ. (2016). *ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურების (შინმოვლის) განვითარების პრობლემები საქართველოში*. Retrieved from IDFI: <https://idfi.ge/ge/jandacva-shinmovla>
- სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო. (2023). Retrieved from https://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=&ved=2ahUKEwiL35C8y96BAxWBR_EDHSNfDdQQFnoECA4QA-Q&url=http%3A%2F%2Fatipfund.gov.ge%2F&usg=AOvVaw3Z7NZt5MQk-lq9gh0zLO-QB&opi=89978449
- საქართველოს სახალხო დამცველი. (2020). *საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში*. თბილისი.
- საქართველოს სახალხო დამცველი. (2022). *ხანდაზმულთა დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შემდგომი ანგარიში*.
- საქართველოს სახალხო დამცველი. (2022). *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ*.
- პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის. (2018-2019). *თანასწორი გარემოს ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ხანდაზმულებისთვის*. თბილისი.
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. (2022). *ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში*.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022). *მოსახლეობის რიცხოვნობა 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით*. თბილისი.
- კაჭკაჭიშვილი, ი., & პაპიაშვილი, ა. (2021). *მართობა და სოციალური იზოლაცია აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში მცხოვრებ ხანდაზმულ პირებში*. თბილისი: UNFPA.
- Cho, S., & Crenshaw, K. W. (2013). Toward a field of intersectionality studies: Theory, applications, and praxis. *Signs: Journal of women in culture and society*, 38(4), 785-810.
- Cohen, J., & Hartmann, H. (2022). Feminist political economy. In F. Stiwell, D. Primrose, & T. B. Thornton (Eds.), *Handbook of Alternative Theories of Political Economy* (pp. 96-110). Edward Elgar Publishing.

- Cranshaw, K. W., Cho, S., & McCall, L. (2013). Toward a Field of Intersectionality Studies: Theory, Applications, and Praxis. *Signs*, 38(4), 785-810.
- Elson, D. (1993). Gender Relations & Economic Issues. *Gender & Development*, 1(3), 6-12.
- Harding, S. (2001). Feminist Standpoint Epistemology. *The gender and science reader*, 145-168.
- Held, V. (2006). The Ethics of Care as Moral Theory. In *The Ethics of Care* (pp. 9-29). Oxford University Press.
- Hochschild, A. R. (2012). *The Managed Heart (3rd ed.)*. University of California Press.
- Martínez-Iñigo, D. P. (2007). Emotional labour and emotional exhaustion: Interpersonal and intrapersonal mechanisms. *Work & Stress*, 21(1), 30-47.
- Nowell, L. S., Norris, M. J., White, D. E., & Moules, N. J. (2017). Thematic Analysis: Striving to Meet the Trustworthiness Criteria. *International Journal of Qualitative Methods*, 16, 1-13. doi:10.1177/1609406917733847
- Peterson, S. V. (2005). How (the meaning of) gender matters in political economy. *New political economy*, 10(4), 499-521.
- Prentice, C. (2013). Emotional labour and its consequences: The moderating effect of emotional intelligence. *Individual Sources, Dynamics, and Expressions of Emotion*, 187-201.
- Rai, S. M., & Waylen, G. (2013). Feminist Political Economy: Looking Back, Looking Forward. In S. M. Rai, & G. Waylen (Eds.), *New Frontiers in Feminist Political Economy* (pp. 1-19).
- Tronto, J. C. (1998). An Ethic of Care. *Generations: Journal of the American Society on Aging*, 22(3), 15-20.
- UN Women. (2020). *Country Gender Equality Profile*. UN Women Georgia.
- UN Women. (2020). *COVID-19-ის გავლენის შეფასება ოჯახში დასაქმებულ ქალებზე საქართველოში*. თბილისი.
- UN Women. (2022). *დროის გამოყენების გამოკვლევა საქართველოში*. თბილისი.
- UNFPA. (2020). *სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, მარტო მცხოვრები პენსიონერების ზოგადი მდგომარეობა COVID-19-ის პერიოდში*. თბილისი.
- WILPF. (2018, 08 01). *A WILPF Guide to Feminist Political Economy*. Retrieved 05 03, 2023, from Women's International League for Peace & Freedom (WILPF): <https://www.wilpf.org/publications/a-wilpf-guide-to-feminist-political-economy/>
- Yeh, S.-C. J.-H.-S. (2020). Emotional Labor in Health Care: The Moderating Roles of Personality and the Mediating Role of Sleep on Job Performance and Satisfaction. *Frontiers in Psychology*, 11. Retrieved from Frontiers: <https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fpsyg.2020.574898/full#B59>